ევროპული საბავშვო ბაღის
კურიკულუმი

2022-2023

ჩვენი მისია

შპს“ევროპული სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.
ჩვენი ღირებულებები:
ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია “ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა;

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. “ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა ყოველთვის ადაპტირებადი და მოქნილია და ეყრდნობა გამოცდილებას, რათა უზრუნველვყოთ მუდმივი გაუმჯობესება ამასთან უკვე არსებული კურიკულუმის ძლიერი მხარეების, მიზნების შენარჩუნებაც.

ბავშვების განვითარება ეტაპობრივი პროცესია, ამიტომ სასწავლო გეგმის შინაარსი ფოკუსირებულია უნარებზე , რომლებიც შეესაბამება მათ ასაკობრივ შესაძლებლობებს, ასევე ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და სწავლის განსხვავებულ საჭიროებებს, რათა უზრუნველვყოთ შესაბამისი მხარდაჭერა.

სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს ბავშვების ჰოლისტიკური განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობას, რაც ნიშნავს განვითარებას - სოციალურად, ემოციურად, ფიზიკურად, ინტელექტუალურად და სულიერად.

აღმზრდელების მიზანია უზრუნველყონ სათანადო სწავლება კარგად შემუშავებულ გარემოში, აღმზრდელთა გეგმები ითვალისწინებს კულტურულ და ენობრივ იდენტობას, ინტერესებს, საჭიროებებს.

აღმზრდელებს აქვთ ადეკვატური საგნობრივი ცოდნა და შეუძლიათ ბავშვების შესაძლებლობების გაცნობიერება. მხედველობაში მიღებულია ბავშვების წინარე ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ ბავშვებს თანდათან განავითარონ ახალი საგნების უფრო ღრმა გაგების დონე.

ბავშვთა მრავალფეროვნების პატივისცემა და თანასწორობის ხელშეწყობა ადრეული განათლების სასწავლო გეგმის ძირითადი ელემენტებია. ჩვენი მიზანია სწავლის სირთულეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების ადრეულ იდენტიფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერა. დამატებითი საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობისას, აღმზრდელები ყურადღებას ამახვილებენ მათ შესაძლებლობებზე და მჭიდროდ თანამშრომლობენ ოჯახებთან და დამხმარე პერსონალთან, რაც გადამწყვეტია ეფექტური დამხმარე ღონისძიებების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, რომ თამაში ბავშვის სწავლის უპირველისი გზაა. თამაში იძლევა სწავლის შესაძლებლობებს, რომლებიც არის მრავალსენსორული, ინტერაქტიული, კრეატიული და წარმოსახვითი. აღმზრდელების მიზანია შექმნან პოზიტიური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყბოს კვლევას, აღმოჩენას, თანამშრომლობას და დისკუსიას, აღძრავს ცნობისმოყვარეობისა და წარმოსახვის გრძნობას. თამაშის საშუალებით სწავლა ორიენტირებულია ურთიერთობების დამყარებასა და კავშირების შექმნაზე.

საფეხურები

3-4 წლიანები (ქართული და ინგლსიური სექტორის “ფერადი” ჯგუფები)
4-5 წლაინები (ქართული და ინგლისური სექტორის “ფერადი” ჯგუფები)
5-6 წლიანები (ქართული და ინგლსირი სექტორის მოსამზადებელი ჯგუფები)

პრინციპები

ევროპული საბავშვო ბაღი იცავს „ბავშვზე ორიენტირებულობის“ ძირითად ღირებულებას და ბავშვებს უნიკალურ ინდივიდებად მიიჩნევს, რომელთა შესაძლებლობები, პიროვნებები, ინტერესები, წარმომავლობა, კულტურა, ცხოვრებისეული ჩვევები და სწავლის ტემპი მრავალფეროვანია.

ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ბავშვების სწავლისადმი ინტერესის აღზრდაზე და მათი სწავლის მოტივაციის შენარჩუნებაზე. ჩვენი ამოცანაა შევქმნათ გარემო, რომელიც დაეხმარება ბავშვს წარმატებულ განვითარებაში: ჩამოაყალიბოს სურვილები, საჭიროებები, ინტელექტუალური თვისებები.

აღსაზრდელების აქტიური ჩართვა, ბავშვების ცნობისმოყვარეობის გაღვიძება და შესაძლებლობებზე რეაგირება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბავშვები იყვნენ მოტივირებულები, ცნობისმოყვარეები, იგრძნონ მხარდაჭერა სასწავლო პროცესში. აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვების სწავლისადმი პოზიტიურ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. თამაში რჩება ბავშვების სწავლის მთავარ ელემენტად და ბავშვები ინარჩუნებენ სწავლის სიხარულს და ენთუზიაზმს.

ბავშვები საკუთარი სწავლის აქტიური მონაწილეები არიან, ამიტომ მათ ყოველდღიურად ეძლევათ უამრავი შესაძლებლობა, აირჩიონ, მიიღონ გადაწყვეტილებები და დაგეგმონ რისი გაკეთება სურთ. ბავშვებს აქვთ საშუალება ჩაატარონ ექსპერიმენტები, დააკვირდნენ, დააპროექტონ, გადაჭრან პრობლემები, გამოიგონონ, გამოიყენონ თავიანთი ფანტაზია და იყვნენ შემოქმედებითები.

ხარისხიანი საბავშვო ბაღის განათლება ეყრდნობა სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობას, რომელშიც ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს მჭიდრო კომუნიკაცია და პარტნიორული ურთიერთობა. თანამშრომლობა ეფუძნება ერთმანეთის მოლოდინებისა და დამოკიდებულების გაგებას, საბავშვო ბაღის განათლების მიზნების და მიმართულებების გაზიარებას და შეთანხმებას „ბავშვზე ორიენტირებულობის“ ძირითად ღირებულებაზე, რათა უზრუნველვყოთ ურთიერთდახმარება და თანხვედრა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ოჯახი ბავშვის ყველაზე გავლენიანი მასწავლებელია და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევქმნით გარემოს, სადაც ბაშვი იქნება ბედნიერი, ჯანმრთელი, წარმატებული.


ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა • თამაშით სწავლა • თანამედროვე - ღია/ინტეგრირებული • ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით სწავლება • კრიტიკული აზროვნების განვითარება
სოციალურ-ემოციური განვითარება
ფიზიკური და სენსორული განვითარება
ინტელექტუალური
ენა
STEAM
ფიზიკური
ფსიქიკური
ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება).

კურიკულუმს აქვს სამი მიზანი:
მოსწავლეთა პიროვნული განვითარების წახალისება უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტში; ფორმალური განათლების უზრუნველყოფა; მომავალზე ორიენტირებული სწავლება - STEAM განათლება - განვითარების მიზნები ურთიერთდაკავშირებულია და ავსებენ ერთმანეთს.

- ფორმალური განათლება მოიცავს კომპეტენციების - ცოდნის, უნარების, ღირებულებების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სფეროებში.
- პიროვნული განვითარება ხდება სხვადასხვა სულიერ, ეთიკური, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. ის გულისხმობს სათანადო ქცევის გაცნობიერებას, გარემოს გაგებას, რომელშიც მოსწავლეები ცხოვრობენ და მათი ინდივიდუალური იდენტობის განვითარებას.
- მომავალზე ორიენტირებული სწავლება - STEAM განათლება ფოკუსირებულია თაობების მომზადებასა და შთაგონებაზე, რათა შეხვდნენ გლობალური საზოგადოების გამოწვევებს ინოვაციების, თანამშრომლობისა და პრობლემების კრეატიულად გადაჭრის გზით.

ჩვენ გვინდა წავახალისოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა, გამოხატონ გრძნობები, გამოიყენონ კრეატიული აზროვნება, წარმოსახვა რათა შექმნან რაიმე ახალი, გამოხატონ იდეები, გადაჭრან პრობლემა, დასვან კითხვები, დაგეგმონ, ჩაერთონ ექსპერიმენტში, შეაგროვონ ინფორმაცია, გააკეთონ დასკვნები, ისწავლონ ქცევის წესები და ნორმები, მოსმენა, შემეცნების სიყვარული და გაუჩნდეთ ახალი მიგნებებისა და აღმოჩენების გაკეთების და გაზიარების სურვილი. იგრძნონ თავი დაცულად, თავდაჯერებულად, სხვებთან ურთიერთობისას ავლენდნენ ზრუნვას, თანაგრძნობას, პატივისცემას. განუვითარდეთ სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია თამაში, მოიცავს კომუნიკაციას, ლაპარაკს და მოსმენას სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა მიზნებისთვის, წიგნების ფართო სპექტრის კითხვას.

რათა, აღსასრდელს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

- თავდაჯერებულობა
- კრიტიკული აზროვნება
- შემოქმედებითი აზროვნება
- თანამშრომლობა
- კომუნიკაცია
- ეთიკა
- დროსა და სივრცეში ორიენტირება
- კვლევა
- დამოუკიდებლობა
- პასუხისმგებლობა
- პრობლემების გადაჭრა

- წიგნიერება
- სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება

ბაღის მუშაობის კალენდარი

წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.
წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება წინასწარ, და ეცნობა მშობლებს (ელექტრონულად ასევე ვებ გვერდის საშუალებით). (ბაღის კალენდარი დანართი 1)
ჯგუფში ბავშვების რაოდენობა განისაზღვრება - 15 აღსაზრდელი;
აღსაზრდელები იყოფიან არჩევით წრეებზე ერთი საფეხურის ფარგლებში.

კურიკულუმის შინაარსი

ტრანსდისციპლინარული თემები
ბავშვები მუდმივად ცდილობენ გააცნობიერონ საკუთარი „მე“ და მათ გარშემო არსებული სამყარო. ევროპული საბავშვო ბაღის კურიკულუმი შედგება ოთხი ტრანსდისციპლინარული თემისგან: ვინ ვარ მე; როგორ მუშაობს ჩემი სხეული; როგორ მუშაობს სამყარო; ჩემი ადგილი სამყაროში; ტრანსდისციპლინარული თემები მოიცავს: ხელოვნების, წიგნიერების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და მეცნიერების მიმართულებებს და ასახავს კურიკულუმის მიზნებს (პიროვნული და მორალრი განვითარება, მომავალზე ორიენტირებული სწავლება).

ტრანსდისციპლინარული თემები ფოკუსირებულია ბავშვების ფიზიკურ, პიროვნულ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ კეთილდღეობაზე, ესთეტიკურ განვითარებაზე, სწავლის კოგნიტურ ასპექტებზე და სამყაროსთან კავშირებზე, სადაც აღმზრდელები ბავშვებს უვითარებენ ბუნებრივი გარემოს გაგებისა და პატივისცემის უნარს, ადამიანებს, მცენარეებს, ცხოველებსა და დედამიწას შორის ურთიერთდამოკიდებულების გაგებას, სხვადასხვა ქვეყნებისა და ეროვნების კულტურის, ჩვევებსა და ცხოვრების წესის პატივისცემას.

ჩვენი მიზანია წავახალისოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა, გამოხატონ გრძნობები, გამოიყენონ კრეატიული აზროვნება, წარმოსახვა რათა შექმნან რაიმე ახალი, გამოხატონ იდეები, გადაჭრან პრობლემა, დასვან კითხვები, დაგეგმონ, ჩაერთონ ექსპერიმენტში, შეაგროვონ ინფორმაცია, გააკეთონ დასკვნები, ისწავლონ ქცევის წესები და ნორმები, მოსმენა, შემეცნების სიყვარული და გაუჩნდეთ ახალი მიგნებებისა და აღმოჩენების გაკეთების და გაზიარების სურვილი. იგრძნონ თავი დაცულად, თავდაჯერებულად, სხვებთან ურთიერთობისას ავლენდნენ ზრუნვას, თანაგრძნობას, პატივისცემას. განუვითარდეთ სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია თამაში, მოიცავს კომუნიკაციას, ლაპარაკს და

მოსმენას სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა მიზნებისთვის, წიგნების ფართო სპექტრის კითხვას.

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

მიუხედავად იმისა, რომ წრეები ჩასმულია ბაღის ყოველდღიურ განრიგში აღსაზრდელის წრეებში ჩართვა მასთან და მშობელთან შეთანხმებით ხდება.

დამატებითი წრეები:

- ჭადრაკი/STEAM (მოსამზადებელი ჯგუფი, არჩევითი საგანი)
- კარატე/ბალეტი (სამივე ასაკობრივ ჯგუფში, როგორც არჩევითი საგანი)
- ფეხბურთი (მოსამზადებელ ჯგუფში, როგორც არჩევითი საგანი)
- რუსული/ქართული (როგორც მეორე ენა - ინგლისურ ენოვანი ჯგუფი)
- ინგლისური როგორც მეორე ენა (ქართულ ენოვანი ჯგუფი)
- რუსული (ქართული ენოვანი ჯგუფი)

ვინ ვარ მე
იგრძნოს თავი დაცულად, თავდაჯერებულად, გრძნობდეს მხარდაჭერას, შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება (დამოუკიდებლად და სხვებთან ერთად), ჩამოუყალიბდეს ადეკვატური თვითშეფასება, შეიძინოს საკუთარი თავის პოზიტიური იმიჯი, იყოს ინფორმირებული, შეეძლოს იმპულსების კონტროლი და კომფლიქტების მართვა, სხვებთან ურთიერთობისას ავლენდეს ზრუნვას თანაგრძნობას, პატივისცემას.
ბავშვები ავითარებენ ინდივიდუალურობას, როდესაც მათ ეხმარებიან უპასუხონ კითხვებს, როგორიცაა „ვინ ვარ მე? როგორ გამოვხატავ თავს? როგორ ვამყარებ ურთიერთობებს? ბავშვებს უვითარდებათ თავისი იდენტობის ცნობიერება, როდესაც თავს დაცულად, თავდაჯერებულად გრძნობენ. იდენტურობა და თავდაჯერებულობა ძლიერდება, როდესაც ბავშვებს სთავაზობენ რეალურ არჩევანს, დროსა და შესაძლებლობას გამოიყენონ ავტონომია, დამოუკიდებლად იმოქმედონ. ბაღში მათ უვითარდებათ სანდო, თბილი, პატივისცემის მქონე ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, რაც ხელს უწყობს თვითშეფასების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების პოზიტიური გრძნობის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში ჰქონდეთ მრავალი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ თამაშში საკუთარი ინიციატივით და სხვა ადამიანების (მოზარდები და ბავშვები) ხელმძღვანელობით უსაფრთხო გარემოში, სადაც ურთიერთობები თამაშობს მთავარ როლს (მასწავლებლებს, ბავშვებსა და ოჯახებს შორის). აღმზრდელები მოუწოდებენ ბავშვებს გამოხატონ საკუთარი თავი პირველ პირში ("მე") აღმზრდელები აღნიშნავენ თითოეული ბავშვის უნიკალურობას პოზიტიური გზებით. (ნამუშევრების გამოფენა, მისი ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნა).

აღმზრდელები ქმნიან უსაფრთხო და მოტივირებულ გარემოს, რომელშიც ბავშვებს შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები და შეიძინონ საკუთარი თავის პოზიტიური იმიჯი.

აღმზრდელები სთავაზობენ თამაშებსა და აქტივობებს, რომელიც განუვითარებს ბავშვს წარმოსახვას და შემოქმედებითობას მაგ. როლური თამაში, კოსტუმების, რეკვიზიტების, გამოყენება.

აღმზრდელები უზრუნველყოფენ მდიდარ და მრავალფეროვან რესურსებს და სასწავლო გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების ცოდნასთან და იდენტობასთან.

აღმზრდელები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვმა იგრძნოს თავი უფრო დაცულად, უფრო თავდაჯერებულად.

აღმზრდელები მსჯელობენ ბავშვებთან, თუ როგორ არიან ადამიანები ერთნაირები და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ბავშვებს ეძლევათ საშუალება განავითარონ თავიანთი საჭიროებების, შეხედულებებისა და გრძნობების ცნობიერება და მხარი დაუჭირონ მათ გამოხატვას. ბავშვები იკვლევენ საკუთარ შესაძლებლობებს და აქტიურად იყენებენ მათ.

დისკუსიით და რეფლექსიით ბავშვები სწავლობენ სხვების საჭიროებების, შეხედულებებისა და გრძნობების პატივისცემას და განსხვავებების გაგებას. მშობლები და მასწავლებლები პარალელურად მუშაობენ ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

სხვებთან ურთიერთობისას ბავშვები ავითარებენ იდენტობას და შესაძლებლობებს. ბავშვები აღიარებენ და ხდებიან მგრძნობიარენი ინდივიდებს შორის განსხვავებულობის მიმართ. იჩენენ ინიციატივას და პასუხისმგებლობას.

„როგორ გამოვხატავ თავას“
ბავშვები სწავლობენ აზრებისა და გრძნობების სხვადასხვაგვარად გამოხატვას სხვადასხვა ენობრივ გარემოში.

აღმზდელები სთავაზობენ აქტივობებს და თამაშებს, რომელიც ცნობისმოყვარეობას, გამოკვლევის სურვილს უჭერს მხარს.

ბავშვები ექსპერიმენტებს ატარებენ და სწავლობენ სხვადასხვა გზით რეაგირებას იმაზე, რასაც ხედავენ, ესმენენ, ეხებიან, ყნოსავენ და გრძნობენ.

ბავშვებს აქვთ შესაძლებლობების ფართო სპექტრი გამოიკვლიონ და გაუზიარონ თავიანთი აზრები, იდეები და გრძნობები უზრუნველყოფილია მთელი დღის განმავლობაში.

ბავშვები თავიანთ ფანტაზიასა და შემოქმედებითობას აქტიურად იყენებენ ხელოვნებაში, მუსიკაში, მოძრაობაში, თავისუფალ თამაშში და მოთხრობებში.

ბავშვებს ეხმარებიან განავითარონ მსჯელობა და რიცხოვნობა ფართო კონტექსტში. განავითარონ უნარები ამ სფეროებში და მოიპოვონ ნდობა და კომპეტენცია მათი გამოყენებისას.
აღმზრდელები ბავშვებს სთავაზობენ აქივობებს სადაც სჭირდებათ გრძნობების ან ემოციებს გამოვხატა მარტივი სიტყვებით, ჟესტებით ან მოძრაობით.

მოკლე და გრძელვადიან პროექტებს შეუძლიათ შექმნან კარგი საფუძველი ჰოლისტიკური სწავლისთვის (მაგ. საუზმის მომზადება: განსხვავებული გემოვნება - საიდან მოდის საკვები - როგორ ხდება საკვების დამუშავება - საკვების შენახვა - საყიდლების სიის მომზადება - სად ვიყიდოთ - მაღაზიის მოწყობა - მაგიდის გაშლა და ა.შ)

„მე ვმართავ ჩემს ქცევას“
ბავშვები იწყებენ იმის გაცნობიერებას, თუ როგორ ექცევიან სხვები მათ და უვითარდებათ მეგობრობის გაგება და როგორ მოქმედებს მათი ქმედებები და პასუხები იმაზე, თუ როგორ გრძნობენ და იქცევიან სხვები. სწავლობენ იმპულსის კონტროლს, კონფლიქტების მართვას, თვითკონტროლს.
საბავშვო ბაღის გარემოში სტაბილური ურთიერთობებისა და მეგობრობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია. (ერთიანობა და კოლექტიური კუთვნილების გრძნობა)

ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში სჭირდებათ დრო და სივრცე სხვებთან სათამაშოდ და ურთიერთობისთვის, რათა ისწავლონ განსხვავებული თვალსაზრისის მიღება, თანაგრძნობა, მოლაპარაკება, პრობლემების გადაჭრა.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს პოზიტიურად შეისწავლონ მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის ცნებები და დაუპირისპირდნენ იდეებს იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო.

ყოველდღიურ რუტინაში მონაწილეობით თანამშრომლობითი მეთოდების გამოყენებით, (მაგ. ჯგუფური პროექტები), ბავშვები სწავლობენ ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობას ისე, რომ განავითარონ პასუხისმგებლობის საერთო გრძნობა.

აღმზრდელები ასწავლიან ბავშვებს თვითრეგულირების სტრატეგიებს სხვადასხვა აქტივობის საშუალებით.

სხვადასხვა სიტუაციებში, ბავშვები ხედავენ, რომ კარგი ქცევა აუცილებელი სწავლის, თამაშის და ერთად ცხოვრებისთვის. ბავშვებს უვითარდებათ „სწორი“ და „არასწორის“ გაგება. ბავშვები სწავლობენ თავიანთი სიტყვებისა და მოქმედებების შედეგების გაგებას. ისინი ხდებიან მგრძნობიარენი, სწავლობენ თანაგრძნობას და სხვების პატივიცემას.

ბავშვები განჭვრეტენ სხვის შესაძლო რეაქციებს და ცდილობენ იმოქმედონ შესაბამისად. ერიდებიან კონფლიქტებს, საჭიროების შემთხვევაში კი აგვარებენ მათ არგუმენტების, მოსმენის, დისკუსიისა და მოლაპარაკების გზით.

„მე ვიცი ჩემი ადგილი ოჯახში და ბაღში“
აღმზრდელები აღიარებენ ბავშვების იდენტურობის გრძნობას და იყენებენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ბავშვებმა მიიღეს საბავშვო ბაღში მოსვლამდე, როგორც ინფორმაციის წყარო, რომლითაც გააძლიერებენ ბავშვის მზარდ იდენტობას. ეს ის დროა, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ ცნობიერება მათი სოციალური და კულტურული მემკვიდრეობისა და მსოფლიოში მათი მნიშვნელობის შესახებ.

ბავშვების იდენტობისა და ნდობის გრძნობა ძლიერდება, როდესაც აღმზრდელები მუშაობენ ბავშვებთან, მათ ოჯახებთან, და საზოგადოების წევრებთან. ჩვენ ვაღიარებთ , რომ ოჯახი ბავშვის პირველი მასწავლებელია. აღმზრდელები ამყარებენ თბილ, მზრუნველი ურთიერთობებს ბავშვებთან და მათ ოჯახებთან. იწვევენ ოჯახის წევრებს შეხვედრებისთვის, ერთობლივ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

აღმზრდელები მხარს უჭერენ რუტინებს, რომლებიც ეხმარება მათ გაიცნონ სხვები და მათი როლები. ბავშვებს აძლევენ საშუალებას გაეცნონ უფროსებს, რომლებიც ბაღში მუშაობენ და გაიგონ მათი ფუნქციები. (მაგ.„თვითმმართველობის დღე“ როდესაც ბავშვები გაინაწილებენ ბაღში მომუშავე პერსონალის ფუნქციებს).

ბავშვებს შეუძლია სიმბოლურად შეისწავლონ მშობლების და სხვების როლი თავისუფალი თამაშის დროს (მაგ., სამზარეულო, „სკოლა“, მაღაზია), რაც წაახალისებს როლურ თამაშს. და გაიღრმავონ თავიანთი ადგილის გაგება ოჯახში და ბაღის საზოგადოებაში.
ბავშვები თანდათან სწავლობენ სხვების პატივისცემა. მცირე ჯგუფებში აქტივობები მხარს უჭერს ამ სახის ურთიერთქმედებას.

აღმზრდელები ხელს უწყობენ სტრატეგიულ და როლურ თამაშებს. აღმზრდელები მოუწოდებენ იმუშავონ თანამშრომლობით და არა მხოლოდ გვერდიგვერდ. ამ სიტუაციებში აღზრდელები აკვირდებიან და მზად არიან დახმარებისთვის საჭიროების შემთხვევაში (მედიაცია).
ბავშვების ჩართულობა ჯგუფის ცხოვრებაში, ინიციატივის აღება მათ თავდაჯერებულობას ზრდის და ეხმარება მას გააცნობიეროს თავისი როლი.

„პირადი მენეჯმენტი“
აღმზრდელები უზრუნველყოფენ თანმიმდევრულ რუტინას და უსაფრთხო და მასტიმულირებელ აქტივობებს. ბავშვები თავს კომფორტულად და დაცულად გრძნობენ ბაღის გარემოში. ბავშვებს უყალიბდებათ ნდობა საკუთარი ძალების მიმართ. ისინი დამოუკიდებლად იყენებენ და ირჩევენ აქტივობებს და რესურსებს.

ბავშვები აყალიბებენ მეგობრულ ურთიერთობებს. მათ მოსწონთ თავიანთი იდეებისა და აზრების სხვადასხვანაირად გამოხატვა და წვლილის შეტანა სასწავლო სიტუაციებში და თავისუფალ თამაშში.

აღმზრდელები სთავაზობენ სხვადასხვა სასწავლო სიტუაციებს, სადაც ბავშვებს აქვთ მოტივაცია, განავითარონ საკუთარი ძლიერი მხარეები და მიიღონ კმაყოფილება შედეგით.

ჯგუფში იყენებენ ვიზუალურ განრიგს, რათა ბავშვები გაეცნონ და ნახონ, რა იქნება შემდეგი. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის კონცეფციის გაგება. აღმზრდელები ეხმარებიან, რომ შეძლონ დაასახელონ დღის მონაკვეთები მაგ. დილა, შუადღე და ა.შ. ასევე კვირის დღეები და წელიწადის თვეები. აღმზრდელები იყენებენ არა მხოლოდ ჯგუფის განრიგს, არამედ კალენდრებს და სხვა ხელსაწყოებს დროის გაზომვისთვის. იყენებენ შესაძლებლობების ფართო სპექტრს დროის გავლის კანონზომიერების საილუსტრაციოდ, მაგ. დაბადების დღეები, ყოველდღიური რუტინა, როგორ იცვლებიან ადამიანები. აღმზრდელები მნიშვენლობას ანიჭებენ საქმეების დადგენილ დროში შესრულებას, მაგალითად სპორტში. ეს ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფურ მუშაობაში.

აღმზრდელები იყენებენ აქტივობებს, რომლებიც კეთდება თანმიმდევრობით და დაეხმარებათ ბავშვებს აღმოაჩინონ მოქმედებების საჭირო თანმიმდევრობა მეცნიერება, ხელოვნება და პროექტები და ა.შ.
რუტინები ასევე ეხმარებათ დროზე წარმოადგენის შესაქმნელად. ვუკითხავთ, ვუამბობთ ისტორიებს წარსულიდან. წავახალისებთ მოყვეს ამბავი შესაბამისი დროის ლექსიკის გამოყენებით. მაგ. მომიყევი რას აკეთებდი გუშინ?

ბავშვი გრძნობს თავს დაცულად საკუთარი ნივთებისთვის პირადი ადგილის არსებობით, როდესაც მათი სახელი, ფოტოები, ნახატები და სამუშაოს მაგალითები გამოფენილია ჯგუფში.
ბავშვები ხდებიან თავდაჯერებულები და დამოუკიდებლები, სწავლობენ მათი ნივთების ორგანიზებას. პასუხისმგებლობის აღებას. ნელ-ნელა სწავლობენ კლასში და ბაღში ორიენტირებას. სწავლობენ ჯგუფში მყოფი სხვა სხვა ადამიანების გათვალისწინებას, პატივისცემას და ადაპტაციას, რაშიც ეხმარებათ მაგ. თამაში, სპორტი და მოძრაობა/ცეკვა. იციან სად ინახება რესურსები და იციან მათი სათანადოდ გამოყენება და მოწესრიგება გამოყენების შემდეგ.

მისაღწევი შედეგები

თავს კომფორტულად და დაცულად გრძნობს ბაღის გარემოში. მოსწონს მონაწილეობა თამაშებში და აქტივობებში და იწყებს ჯგუფში თავისი ადგილის პოვნას. აჩვენებს ამბიციას და ინიციატივას;
უყალიბდება ნდობა საკუთარი ძალების მიმართ. დამოუკიდებლად იყენებს და ირჩევს აქტივობებს და რესურსებს;

იცის საკუთარი ძლიერი მხარეები და ინტერესები, შეუძლია საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობებისადმი ნდობის დემონსტრირება;

ისახავს მარტივ მიზნებს ზრდასრულთა მხარდაჭერით და ცდილობს მიაღწიოს მათ, შეუპოვარია როდესაც აწყდება სირთულეებს;

მზად არის, დაიცვას წესები სწავლაში ან თამაშში და იზრუნოს სხვის გრძნობებზე;

იწყებს ემოციების დარეგულირებას, თვითკონტროლის განვითარებას. უმკლავდება იმედგაცრუებას საკუთარი თავის, სხვების და/ან ბაღის გარემოს მიმართ უარყოფითი ქცევის გარეშე;

აგვარებს კონფლიქტებს არგუმენტების, მოსმენის, დისკუსიისა და მოლაპარაკების გზით და ავლენს სიტუაციის შესაბამის გრძნობებს, ემოციებს და ქცევას;

სიამოვნებას იღებს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობით ჯგუფის სხვა წევრებთან;

განვითარებული აქვს მისი ემოციების მართვისა და სხვისი ემოციების წაკითხვის ძირითადი უნარები(როგორიცაა სევდიანი, ბედნიერი, გაბრაზებული, შეშინებული, შეშფოთებული);

გაცნობერებული აქვს მისი იდენტობა და როლი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში (ბაღი, ოჯახი);
გაეცნო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს (მაგ. ოჯახი, სკოლა, საზოგადოება) და სიამოვნებას იღებს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობით ჯგუფის სხვა წევრებთან;

აქვს სანდო და მეგობრული ურთიერთობები სხვა ბავშვებთან და საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან;

რუტინული მენეჯმენტი, ავლენს დამოუკიდებლობას, შეუძლია საკუთარი თავის და მისი ნივთების ორგანიზება;

ესმის, რომ ძალისხმევა ღირებულია და შეიძლება წარმატებამდე მიგვიყვანოს;
მოსწონს თავისი იდეებისა და აზრების სხვადასხვანაირად გამოხატვა სასწავლო სიტუაციებში და თავისუფალ თამაშში;

იყენებს ხელოვნებას, მუსიკას, ცეკვას თავისი თავის გამოსახატად;

აცნობიერებს ერთად თანაცხოვრების მნიშვნელობას იმ ენობრივი და კულტურული განსხვავებების აღმოჩენით, რომლებიც მის გარშემოა;

იწყებს მორალის ძირითადი პრინციპების გაგებას;

შეუძლია ამბების მოყოლა შესაბამისი დროის ლექსიკის გამოყენებით, საუბრობს წარსულ და მომავალ მოვლენებზე;

შეუძლია წინარე გამოცდილების და ცოდნის გამოყენება ახალ სიტუაციებში;

როგორ მუშაობს ჩემი სხეული

ცოდნის, უნარები და პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ფიზიკური მოძრაობის მიმართ, სენსორული და მოტორული უნარების განვითარება, მოძრაობების კონტროლი და სივრცისა და მიმართულების ცნებების გაგება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება და თვითდაცვის უნარის განვითარება, პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენა; საკუთარ

ჯანმრთელობაზე, ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე მეტი პასუხისმგებლობის აღება.

ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანსაღი ზრდის, განვითარების, სწავლისა და კეთილდღეობისთვის.

განრიგი საშუალებას აძლევს ბავშვებს ჰქონდეთ როგორც წყნარი დრო, ასევე უამრავი შესაძლებლობა დამოუკიდებელი ფიზიკური აქტივობისთვის ყოველდღე (როგორც შიდა სივრცეში, ისე გარეთ).

ბავშვებში ჯგუფური ფიზიკური აქტივობა ავითარებს მათ სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებას. ჩვენ ვქმნით ინკლუზიურ ფიზიკურ გარემოს (შიდა და გარე), აღჭურვილობას და პირობებს, რომელშიც ყველა ბავშვს შეუძლია გამოიყენოს ახალი უნარები.

ბავშვები სწავლობენ როგორ ფუნქციონირებს მათი სხეული, სხეულის კონტროლის სტრატეგიებს და თავდაცვით ქცევებს და ავითარებენ მოტორულ უნარებს.

- ბავშვი ავითარებს სივრცით ცნობიერებას და უსაფრთხოებისა და საფრთხის გაგებას როდესაც: იყენებს სივრცით ცნობიერებას, უსაფრთხო გადაადგილებისთვის;
- ითვალისწინებს მითითებებს, რომლებიც დაიცავს მას და სხვებს;
- მონაწილეობს აქტივობებში, რომელიც მოითხოვს წესების დაცვას;
- მოქმედებს სამართლიანი თამაშის სულისკვეთებით;
- მოძრაობს და თამაშობს უსაფრთხოდ საკლასო ოთახში და სათამაშო მოედანზე და თავს და სხვებს საფრთხეში არ აგდებს;
- ითხოვს დახმარებას, როცა დაჭირდება;

აღმზრდელები ყურადღებას აქცევენ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას ფიზიკური აქტივობის დროს, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ჯანმრთელები არიან და საკმარისად მომზადებულები არიან ვარჯიშისთვის და შეუძლიათ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა. (ხანგრძლივი და ინტენსიური ვარჯიში ფიზიკური დაღლილობის გამო ჯანმრთელობის რისკების თავიდან ასაცილებლად).

აქტივობების შინაარსისა და მოცულობის შემუშავებისას სათანადოდ არის გათვალისწინებული ფაქტორები, როგორიცაა დრო, სეზონი და ადგილი (შიდა თუ გარე სივრცე).

სასწავლო შინაარსი ორგანიზებულია სირთულის მზარდი პროგრესის პრინციპის მიხედვით. ბავშვებს აქვთ საკმარისი დრო და წახალისება, რათა მათ შეძლონ ეტაპობრივად გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები. (თავიდან უნდა იქნას აცილებული ბავშვების შესაძლებლობების შედარება, ხოლო აღიარება უნდა მიენიჭოს მათ ძალისხმევასა და პროგრესს ამ პროცესში).

ბავშვები იკვლევენ თუ როგორ უწყობს ხელს ფიზიკური მოძრაობა/ვარჯიში და ცხოვრების ჯანსაღი წესი (კვების და ძილის ჩათვლით) ფსიქიკურ კეთილდღეობას.

აღმზრდელები ბავშვებს ეხმარებიან გახდნენ დამოუკიდებლები თვითდახმარების რუტინებით, პირადი ჰიგიენით და გაეცნონ ცხოვრების ჯანსაღ წესს კვების, ძილის, ფიზიკური ვარჯიშის ჩათვლით. (მაგ.შეძლოს მართოს პირადი ჰიგიენა მზარდი დამოუკიდებლობით (ხელის დაბანა, ტუალეტი); შეიძინოს წარმოდგენა ჯანსაღი კვების შესახებ; აღწეროს ფიზიკურ ცვლილებები მის სხეულში სხვადასხვა ტიპის აქტივობის დროს მონაწილეობა მიიღოს ჯგუფში მოწესრიგებული გარემოს შენარჩუნებაში;)

ბავშვი იკვლევს თავისი სხეულის შესაძლებლობებს როდესაც:

- ასახელებს ადამიანის სხეულის ძირითად ნაწილებს და ეცნობა ფუნქციებს;
- შეუძლია წონასწორობის შენარჩუნება სხვადასხვა პოზაში; შეუძლია რიტმულად მოძრაობა, სხეულის კოორდინაცია;
- შეუძლია გაიმეოროს სხვის მიერ დემონსტრირებული მარტივი მოძრაობები და შეცვალოს მითითების შესაბამისად;
- დამოუკიდებლად იცვამს (ფეხსაცმელს, ქურთუკს) მონაწილეობას იღებს აქტივობებში, შეუძლია ბურთის სროლა/დაჭერა, შუძლია ფანქრის დაჭერა და დემონსტრირებას ახდენს წერის და გრაფიკული უნარების;
- იყენებს იარაღებს, ჭურჭელს და მასალებს, როგორიცაა ფანქრები, ფუნჯები, მაკრატელი, ქაღალდი, პლასტილინი და თავსატეხები. უკრავს მარტივ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე და ივითარებს რიტმის გრძნობას;

პოზიტიური ემოციური ურთიერთქმედება და გამოცდილება, ისევე როგორც სიხარულის გრძნობა და მონაწილეობა შემოქმედებით საქმიანობაში, ხელს უწყობს სწავლას და შთააგონებს ბავშვებს საკუთარი კომპეტენციის განვითარებაში.

აღმზრდელები იყენებენ ხელოვნებას ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პოზიტიური კეთილდღეობის განცდის გასაუმჯობესებლად.

აღმზრდელები გეგმავენ აქტივობებს, რომელიც დაეხმარებათ ბავშვებს ყველა გრძნობის გამოყენებით განავითაროს წარმოსახვა ცეკვაში, მუსიკაში, ხელოვნებაში და თამაშში. მაგ. ისაუბრონ იმაზე რასაც ხედავს, ესმის, გრძნობს, ეხება; გააკეთონ ბგერების, მელოდიების, რიტმების, სუნისა და გემოს, ფერების და ფორმების მარტივ კლასიფიკაცია; გამოიყენოს და დააკავშიროს ყველა გრძნობა მისი შემოქმედების გასავითარებლად.

მისაღწევი შედეგები

ახდენს დამოუკიდებლობის დემოსტრირებას, აქვს ძირითადი ჰიგიენისა და თვითდახმარების უნარ-ჩვევები (როგორიცაა ჩაცმა, ტუალეტში სიარული, დასვენება და საჭმლის მომზადება);

იცის იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს ფიზიკური მოძრაობა/ვარჯიში და ცხოვრების ჯანსაღი წესი (კვების და ძილის ჩათვლით) ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას. აქვს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი გაგება. ესმის უსაფრთხოების წესები;

იცის თავისი ფიზიკური შესაძლებლობების საზღვრები და განვითარებული აქვს ცნობიერება თვითდასაცავად;

ენერგიულ ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობის სურვილის გამოვლენა (მათ შორის ცეკვა, დრამა, მოძრაობა და თამაშები);

შეუძლიათ სხვებთან გუნდურ თამაშებში ჩართვა;

ესმის სივრცისა და მიმართულების კონცეფცია: ზევით და ქვევით, მარცხნივ და მარჯვნივ, წინ და უკან და იყენებს დინამიურ ფიზიკური აქტივობებში;

შეუძლია გარემოში უსაფრთხოდ გადაადგილება სივრცითი ცნობიერების დემონსტრირება. შეუძლია ხუთი გრძნობის ფუნქციების ამოცნობა, ე.ი. მხედველობა, სმენა, გემო, ყნოსვა, შეხება და იყენებს ამ გრძნობებს საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად;

მისი ყველა გრძნობის გამოყენებით, აქტიურად იკვლევს სამყაროს და ავითარებს წარმოსახვას ცეკვაში, მუსიკაში, ხელოვნებაში და თამაშში;

აქვს ძირითადი უნარები და შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართული, კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება;

ახდენს ფიზიკური მოძრაობისა და ვარჯიშისადმი დადებითი დამოკიდებულების დემონსტრირებას;
აქვს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების საბაზისო უნარ-ჩვევები;

როგორ მუშაობს სამყარო

ცნობისმოყვარეობის გაღვივება გარემოს და ფენომენების მიმართ შეიძინოს საბაზისო საძიებო უნარები დაკვირვების, დაკითხვისა და ვარაუდების გამოთქმის გზით; დააფასოს, პატივი სცეს და იზრუნოს ბუნებაზე და ისწავლოს ბუნებაზე ზრუნვა; სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოსადმი პატივისცემის გამოხატვა.

საძიებო აქტივობები, მოიცავს მარტივ დაკვირვებას, აშკარა ცვლილებებს და მარტივ პროცედურებს. საძიებო აქტივობები ფოკუსირებულია ბავშვებში ცნობისმოყვარე დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე და რათა მივცეთ ბავშვებს საშუალება მიიღონ სიამოვნება ძიებისგან და ისწავლონ:

- გარემოზე დაკვირვება, რეფლექსია და კითხვების დასმა
- გარემოზე ზრუნვა, პასუხისმგებლობის აღება

აღმზრდელები გეგმავენ აქტივობებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ბუნების შესწავლაში და გაგებაში : მაგ. ამინდის ცვლილებებზე დაკვირვება და აღწერა (მზის შუქი, ტემპერატურა, ღრუბლები და წვიმა, ქარი და სხვ.) და რა გავლენას ახდენს ეს იმაზე, თუ რას ვიცვამთ, ვაკეთებთ და ვჭამთ; ადამიანების, მცენარეებისა და ცხოველების ძირითადი მოთხოვნილებების, აგრეთვე მათი საცხოვრებელი ადგილების შესწავლა; იმ ადგილების შესწავლა, სადაც ადამიანები, მცენარეები და ცხოველები ცხოვრობენ და როგორ ურთიერთობენ ისინი; ცოცხალ და არაცოცხალ არსებებს შორის ურთიერთობის შესწავლა;

აღმზრდელები ახალისებენ ბავშვებს გააცნობიერონ თავიანთი ბუნებრივი გარემო და გაიღრმავონ ცოდნა დაკვირვებისა და დისკუსიის გზით (მაგ. იდეების გაზიარება ბუნებრივ და აშენებულ გარემოში გამოცდილების შესახებ დისკუსიებში);

აღმზრდელები გეგმავენ ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესაძლებლობას საერთო გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა არჩევანის შესაძლებლობა, ჯგუფში შეხვედრები იმ საკითხების განსახილველად, რომელიც მათ ეხება;

აღმზრდელები ასწავლიან ენას, რომელიც ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ იდეების გამოსახატავად, როლების შესატყვისად და ერთად იმუშაონ მიზნების მისაღწევად, როგორიცაა ახალი ამბების თხრობა, იმ ადგილების მახასიათებლების აღწერა, რაც მათთვის ამ ადგილს განსაკუთრებულს ხდის;

მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება ზიანი მიაყენოს მას გარემოსადმი ზრუნვის ნაკლებობამ; მათ აძლევენ საშუალებას გამოიტანონ დასკვნები, პროგნოზირება და ჰიპოთეზა, რათა გააღრმავონ გაგება დედამიწის, ადამიანების, მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (მაგ. თუ როგორ გვაწვდიან მცენარეები და ცხოველები საკვებს, ტანსაცმელს, ხელსაწყოებს და თავშესაფარს);

ბავშვებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ თავიანთი ცოდნა დრო და სივრცე ბუნებრივი გარემოს (როგორიცაა ფლორა, ფაუნა და ამინდის ნიმუშები) შესასწავლად. ბუნება და ტექნოლოგია მჭიდრო კავშირშია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ამიტომ აღმზრდელმა აძლევენ საშუალებას ბავშვებს შეისწავლონ და აღმოაჩინონ ცოდნა როგორც ბუნებრივ გარემოში, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით. (ციფრული მოწყობილობებისა და სისტემების გამოყენების ახსნა და დემონსტრირება, კვლევის შედეგების ჩასაწერად) აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს უსაფრთხოდ შეისწავლონ მათი სოციალური, ბუნებრივი, აშენებული და ციფრული გარემო (ტექნოლოგიები, გამოიყენება, მხოლოდ როგორც სასწავლო დამხმარე საშუალებები, ბავშვების ჯანმრთელობა ყოველთვის უმთავრესი პრიორიტეტია და ტექნოლგიის განურჩეველი გამოყენება არ უნდა იყოს წახალისებული);

მისაღწევი შედეგები

- იკვლევეს მის გარშემო არსებულ სამყაროს ხუთი გრძნობის გამოყენებით და უზიარებს თავის დაკვირვებებს სხვებს;
- ინტერესდება, თუ როგორ გვაწვდიან მცენარეები და ცხოველები საკვებს, ტანსაცმელს, ხელსაწყოებს და თავშესაფარს;
- შეუძლია გამოიტანოს დასკვნები, დედამიწის, ადამიანების, მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;
- შეუძლია იპოვონოს გარემოში ურთიერთდამოკიდებულების მაგალითები და განიხილოს, თუ როგორ არის დაკავშირებული ცოცხალი არსებების სიცოცხლე და ჯანმრთელობა
- გაცნობიერებული აქვთ თანამშრომლობის მნიშვნელობა სოციალურ ცხოვრებაში და კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა;

- შეუძლია პასუხისმგებლობის აღება ცოცხალი სამყაროს ზოგიერთი ნაწილის მოვლაზე და ცოდნის განვითარება, თუ როგორ უნდა მოვუაროთ მას, მაგ. საბავშვო ბაღის ეზო;

ჩემი ადგილი სამყაროში

კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრება. ჯგუფებთან და საზოგადოებასთან კავშირის განცდის ჩამოყალიბება და თანამშრომლობის, გაზიარების სხვადასხვა გზების დადგენა.

ბავშვები ურთიერთობენ სამყაროში, რომელიც კულტურულად, ლინგვისტურად და იდეოლოგიურად მრავალფეროვანია, ამიტომ კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების უნარები, ისევე როგორც კულტურული რეაგირება, მნიშვნელოვანი უნარებია წარმატებული ურთიერთობისა და თანამშრომლობისთვის.

ბავშვებს აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ, მუშაობენ და თამაშობენ ადამიანები სხვადასხვა ქვეყანაში, მათ სურთ გაეცნონ სხვადასხვა დღესასწაულებს, წეს-ჩვეულებებს და საკვებს.
გამოიყენეთ როლური თამაშები რათა დააინტერესოთ ბავშვები გაეცნონ სხვა ქვეყნებს, ტრადიციებს და კულტურას;

აღმზრდელი გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს კვლევისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, ინტერესის გაღვიძებას (ცნობისმოყვარეობა და შესწავლის სურვილი),პოზიტიური ღირებულებები და დამოკიდებულებების დანერგვას;

აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს გაეცნონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს, ტრადიციული კერძების მომზადებიდან დაწყებული შემოქმედების, არქიტექტურის, ღირსშესანიშნაობების ჩათვლით, ბავშვები იკვლევენ კულტურულ განსხვავებებს და იმას, თუ როგორ აისახება ისინი ჩვენს ცხოვრებაზე. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ასევე კულტურებს შორის მსგავსების აღნიშვნაზე.
აქტივობები და რესურსები, რომლებსაც ვიყენებთ აფართოებენ ბავშვების ჰორიზონტს და ხელს უწყობენ კულტურული მრავალფეროვნების და სოციალური იდენტობის აღიარებას;

ბავშვები ეცნობიან კულტურულ მრავალფეროვნებას სიმღერით და ტრადიციულ მუსიკის მოსმენით. ცეკვა ასევე არის ბავშვებისთვის საინტერესო გზა, რომ გაეცნონ სხვა ქვეყნის კულტურას. ბავშვების ცნობისმოყვარეობას განსაკუთრებით იპყრობს განსხვავებული ცხოველები. აღმზრდელები სთვაზობენ იმოგზაურონ თავიანთი ჯგუფიდან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტის ყველაზე მომხიბვლელი ფორმით: წიგნებით. ისინი განიხილავენ ხალხურ ზღაპრებს, პერსონაჟებს და აცოცხლებენ ჯგუფში პიესის ან ნახატების საშუალებით. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა იფიქრონ, გაიზარონ დასვან კითხვები;

ბავშვები სწავლობენ სივრცეში ორიენტირებას, ადგილმდებარეობის განსაზღვრას, მარშუტის აღწერას. მნიშვნელოვანია ბავშვებმა გაიგონ, რომ მათი ეზოს მიღმა დიდი სამყაროა, მაგრამ ბავშვმა პირველ რიგში, გამოცდილებით უნდა ისწავლოს, სად არის მისი სხეული სივრცეში და სხვა ობიექტებთან მიმართებაში, სანამ შეძლებს ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტების პოზიციის დადგენას;

ნივთებისა და ადამიანების მდებარეობა და გადაადგილება, სივრცის წარმოდგენის განვითარება შეიძლება ქაღალდზე ან 3D-ში, მხარდაჭერილი მრავალფეროვანი მედიით და აქტივობებით - მოდელირება, ნახატი, ფოტოები, ფილმები, ბილიკები და ა.შ. სივრცეში პოზიციის განვითარება სახალისო სათამაშო აქტივობებით მიგვიყვანს ობიექტებსა და სხვა ადამიანებს შორის სივრცითი ურთიერთობების გააზრებამდე, მოგვიანებით კი ქაღალდზე საგნებსა და სიმბოლოებს შორის (ნახატები, ასოები, რიცხვები და ა.შ.) ;

როგორ ვამყარებთ კავშირებს - ასევე მოიცავს მოგზაურობას სხვადასხვა ტრანსპორტის გამოყენებით. ვიკვლევთ ობიექტების გადაადგილების გზებს: ბიძგი, აწევა, გადახტომა, სრიალი, დაცემა, დატრიალება, ცურვა. ამას კი მივყავართ კვლევისკენ - **როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა სამყარო.** რა წვლილი შეიტანა გამოგონებებმა სხვადასხვა კულტურებს შორის კავშირის დამყარებაში. ეს ეხმარებათ ადამიანის ფანტაზიის, კრეატიულობის, წარმოსახვის უნარის, ცოდნის და ასევე თანამშრომლობის და გუნდურობის, გაზიარების მნიშვნელობის გაგებაში;

მისაღწევი შედეგები

იცის, რომ არსებობს სხვადასხვა ქვეყანა, ენა და კულტურა, იცის მისი ქვეყნის და კულტურის ძირითადი ასპექტები;

ინტერესდება კულტურის, მემკვიდრეობის, წარმოშობისა და ტრადიციების მრავალფეროვნებით უკეთ გაგების მიზნით;

გაცნობიერებული აქვს მისი კულტურა და ეროვნული იდენტურობა და პატივს სცემს სხვა ქვეყნებისა და ეროვნების კულტურას, ჩვევებსა და ცხოვრების წესს;

პატივს სცემს და აფასებს ადამიანების განსხვავებებს სხვებისგან (გარეგნობის, ენის, შესაძლებლობების, კულტურისა და ცხოვრებისეული ჩვევების თვალსაზრისით);

იღებს მონაწილეობას ხელოვნების შექმნასა და დაფასებაში, არის შემოქმედებითი
აქვს გამოკითხვისა და კომუნიკაციის უნარები, შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა
კითხვისას ისახავს მარტივ მიზნებს ზრდასრულთა მხარდაჭერით და ცდილობს მიაღწიოთ
მათ, შეუპოვარია, როდესაც აწყდება სირთულეებს და იცის რომ, რომ ძალისხმევა
ღირებულია და შეიძლება წარმატებამდე მიგვიყვანოს;

შეუძლია ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტების პოზიციის დადგენა;

გაცნობიერებული აქვთ თანამშრომლობის მნიშვნელობა სოციალურ ცხოვრებაში და კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა, კითვების დასმისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით;

სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ევროუპული საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის სადაც ინფორმაციასთან ერთად მოცემულია სხვადასხვა თამაშები და აქტივობების მაგალითები.

სახელმძღვანელო ეხმარება აღმზრდელებს დაგეგმოს აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ასაკისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარ ჩვევების განვითარებას და მოიცავს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს - **„ვთამაშობთ“, „აღმოვაჩენთ“, “ვქმნით“, „ვსწავლობთ“.** ისინი ერთად ქმნიან სწავლების თანმიმდევრულ სტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ბავშვებში დაბალანსებულ განვითარებას ინტეგრირებული მიდგომის და თამაშით სწავლის მეშვეობით.

STEAM განათლება

„ევროპული სკოლა“ **STEAM** სკოლაა. **STEAM** პროგრამის დანერგვა ჩვენთან საბავშვო ბაღის ასაკიდან იწყება. STEAM-ის ხუთი საგნიდან (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა) თითოეულს აქვს საერთო მიდგომა და მიმართულება. ისინი საჭიროებენ მტკიცებულებების შეგროვებას და გამოყენებას ცოდნის შესაგროვებლად ან პრობლემების გადასაჭრელად.

STEAM პროგრამის განხორციელება ადრეული ასაკიდან ეხმარება ბავშვებს განავითარონ პოზიტიური დამოკიდებულებები მეცნიერების, ინჟინერიის, ხელოვნების, ტექნოლოგიებისა და მათემატიკის სფეროების მიმართ, რადგან ეს საშუალებას აძლევს მათ ჩაერთონ რეალურ, ცხოვრებისეულ აქტივობებში და მიიღონ ახალი გამოცდილება.

STEAM აქტივობები დადებითად აისახება ბავშვების კომუნიკაციისა და ლექსიკის უნარების განვითარებაზე, რადგან ბავშვები სწავლობენ და იყენებენ ახალ ტერმინებს, იმუშავებენ აზროვნების სტილს, როდესაც აკვირდებიან, იკვლევენ და ატარებენ ექსპერიმენტებს და თანამშრომლობენ თანატოლებთან, აღმზრდელებთან, მშობლებთან, მათ უზიარებენ საკუთარ აღმოჩენას, ერთმანეთს უსმენენ და აფასებენ.

STEAM საშუალებით მოსწავლელებს უვითარდებათ:

- პრობლემების გადაჭრის უნარები
- შემოქმედებითობა
- კრიტიკული აზროვნება
- გუნდურობა
- დამოუკიდებელი აზროვნების უნარი
- ლიდერობა
- კომუნიკაციის უნარი
- ციფრული წიგნიერება

S მეცნიერება - სამეცნიერო მეთოდი მოიცავს დაკვირვებას, კითხვების დასმას, პროგნოზების გაკეთებას, ექსპერიმენტებს და მსჯელობას. მეცნიერების მსგავსად, ბავშვები სწავლობენ სხვებისგან. უყურებენ რა ბავშვებს და უფროსებს რას აკეთებენ, სწავლობენ გამეორების მცდელობით, კითხვების დასმით და შედეგების ხილვით. მეცნიერება ბავშვებისთვის ემყარება საოცრებებს და გამოკვლევის სურვილს.

T ტექნოლოგია - ტექნოლოგიები ეს არ არის მხოლოდ პლანშეტები და კომპიუტერები. ეს ნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ ნებისმიერ ობიექტს,ნივთს, საგანს, რომელსაც ვიყენებთ. ტექნოლოგია მოიცავს მარტივ ინსტრუმენტებს, როგორიცაა საბურავები, ბორბლები, ბერკეტები, მაკრატელი და სხვ. ეს მარტივი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ბავშვებს გაიგონ, როგორ გვეხმარებიან ისინი ამოცანების გადაჭრაში. ბავშვებს შეუძლიათ დაინახონ მიზეზი და შედეგი მათ მიღმა, მაგალითად, როგორ აადვილებს ბორბლების დამატება დიდი ობიექტის ქვემოთ გადაადგილებას.

ტექნოლოგია ასევე გულისხმობს ბავშვების მიერ მიღებული სამეცნიერო ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში. ბავშვები ამას აკეთებენ სასწავლო ხელსაწყოების გამოყენებით, როგორიცაა ფანქრები, სახაზავები, ჩხირები, და სხვა, ასევე უფრო რთული ტექნოლოგიური გამოგონებებით, როგორიცაა მიკროსკოპები, კომპიუტერები, რობოტები.
თამაშის დროს თუ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობისას, ბავშვებს შეუძლიათ დაინახონ, თუ როგორ შეცვალა ადამიანის აზროვნებამ და ინტერესმა სამყარო. ბავშვებმა უნდა აღიქვან, რომ რეალური პრობლემებს რეალური გადაწყვეტილებები აქვთ და რომ მათაც შეუძლიათ ბევრის გაკეთება.
E ინჟინერია იყენებს მეცნიერებას, მათემატიკას და ტექნოლოგიას პრობლემების გადასაჭრელად. ინჟინერია იყენებს მასალებს, დიზაინს, ხელოსნობასა და მშენებლობას - ეს გვეხმარება გავიგოთ როგორ და რატომ მუშაობს ყველაფერი. მაგალითად, როდესაც ბავშვები ქმნიან და აშენებენ სხვადასხვა ობიექტებს ბლოკებით, როდესაც ხედავენ, თუ როგორ შეიძლება ქვის კენჭებით წყლის ნაკადის დაბლოკვა, მაშინ მოქმედებენ, როგორც ინჟინრები.
ინჟინერია ბავშვებისთვის არის დიზაინის შექმნა და აგება. ბავშვებს დრო სჭირდებათ დანახული პრობლემის გადაჭრის გზების აღმოსაჩენად და შემდეგ შედეგის მისაღებად. ეს უნარები საშუალებას აძლევს ბავშვებს გამოიკვლიონ პრობლემები და გადაჭრან ისინი.
ბავშვები სწავლობენ:

- დიდი პრობლემების დაშლას პატარა, უფრო იოლად გადასაჭრელ ნაწილებად.
- აბსტრაქციის უნარს - დააკვირდნენ და გამოიყენონ მხოლოდ ის მნიშვნელოვანი დეტალები, რაც კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდებათ..
- თანამშრომლობას - გუნდური მუშაობა ზოგჯერ უფრო წარმატებულია, ვიდრე მარტო მუშაობა.

ინჟინერია ბავშვებისთვის არის თავიანთი შესაძლბელობების და სურვილების გამოყენება, რათა შექმნან რაღაც საოცარი, რაღაც ახალი!
A ხელოვნება - შემოქმედებითი აზროვნება გადამწყვეტია STEM საგნებისთვის. მეცნიერებმა, ტექნოლოგიების შემქმნელებმა, ინჟინერებმა და მათემატიკოსებმა ინოვაციების შემუშავება და პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა სჭირდებათ. ამიტომაც ხელოვნება დაემატა STEM-ს, რათა გახდეს STEAM. აქტიური და თვითმართვადი აღმოჩენა არის ხელოვნებისა და STEAM-ის სწავლის საფუძველი. ხელოვნება არის სენსორული გამოკვლევა. ბავშვებს შეუძლიათ იგრძნონ საღებავი თითებზე და დაინახონ, რომ როგორც ცვლის ფერი თეთრ ფურცელს. ბავშვები თავიანთ ხელოვნებაში აერთიანებენ სიმბოლოებს, რომლებიც წარმოადგენენ რეალურ ობიექტებს, მოვლენებსა და გრძნობებს. ხატვა და თამაში საშუალებას აძლევს მათ

გამოხატონ ის, რაც იციან და გრძნობენ, მანამდეც, სანამ წერა-კითხვას შეძლებენ. მუსიკა ასევე დაკავშირებულია STEAM უნარებთან, როგორიცაა ნიმუშის ამოცნობა და ნუმერაცია. ადრეული გამოცდილება შემოქმედებით ხელოვნებაში ხელს უწყობს კოგნიტურ განვითარებას და ზრდის თვითშეფასებას.
აქტივობები, თამაშები, რომლებსაც ჩვენ ბავშვებს ვთავაზობთ უზრუნველყოფს მათი კრიტიკული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას, მათ სწრაფვას ინოვაციებისკენ და სიახლეების აღმოჩენებისკენ.
კრეატიულობა უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც აღმზრდელები ცდილობენ იყვნენ უფრო ყურადღებიანი ბავშვების შემეცნებითი პროცესების მიმართ, ვიდრე იმ შედეგების მიმართ, რასაც ბავშვები აღწევენ კეთების დროს.
M მათემატიკა არის რიცხვი და მოქმედებები, გაზომვა, შაბლონები, გეომეტრია და სივრცითი გრძნობა. მათემატიკა არის ინსტრუმენტი. ბავშვები ყოველდღე იღებენ ინფორმაციას „მეტის“ და „ნაკლების“, ფორმის, ზომის, თანმიმდევრობის, მოცულობის და მანძილის შესახებ. თამაში ხშირად მოიცავს მათემატიკურ ენას და აზროვნებას. ბავშვები საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „ბევრია" და "ცოტაა" ისინი ხშირად იყენებენ სხეულს, რომ აჩვენონ ზომა. იკვლევენ რომ ობიექტების მოძრაობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის ზომასა და ფორმაზე.
ეს „თამაში“ მათემატიკის იდეებთან და ცნებებთან საფუძველს უყრის შემდგომში უფრო რთული მათემატიკური და საბუნებისმეტყველო უნარების განვითარება. მათემატიკური აქტივობები, რომლებშიც ბავშვები ბუნებრივად ერთვებიან, არის როგორც შემოქმედებითი და საინტერესო, ასევე სახალისო და მხიარული.
STEAM სწავლის დიდი ნაწილი ხდება თავისუფალი თამაშის დროს, სადაც ბავშვებს ეძლევათ მასალების თავისუფლად შესწავლის და არმოჩენების გაკეთების შესაძლებლობა აღმზრდელებს შეუძლია გააძლიეროს STEAM შესწავლა თამაშის დროს და სოციალური ინტერაქცია, სწორი მხარდაჭერის შეთავაზების და გარემოს სტრუქტურირების გზით. აღმზრდელებს შეუძლიათ დაუსვან კითხვები, მისცენ მინიშნებები, მოუსმინონ.

STEAM განათლება მოიცავს ფორმების შემოწმებას, ლეგოთი სხვადასხვა ფორმების აწყობას, მუყაოს ყუთებით სახლების აგებას, „მაღაზიობანას“ თამაშს, სითხეებისა და სხვა მასალების ჩამოსხმას, სხვადასხვა ზომის კონტეინერების შევსებას და დაცლას და საღებავების შერევას ახალი ფერების შესაქმნელად. როდესაც ბავშვები იკვლევენ ისინი ანვითარებენ უნარებს, როგორიცაა ფოკუსირება, ყურადღება, მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, პრობლემის გადაჭრა.

საბავშვო ბაღში დაგეგმილი და განხორციელებული STEAM აქტივობების მაგალითები:

ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის ჩვენებით

- პატარები ეცნობიან და სწავლობენ ტექნიკასთან მუშაობის წესებს: როგორ უნდა დასხდნენ კომპიუტერთან, როგორ მოუარონ ტექნიკას, როგორ იმუშაონ უსაფრთხოდ; ქმნიან პოსტერებს ნახატებისგან და აწყობენ გამოფენებს.

ლეგოს გამოყენება სხვადასხვა ობიექტების შესაქმნელად • ლეგოს კუბიკების დახმარებით პატარები მარტივად აწყობენ სხვადასხვა ობიექტებს: ფიგურებს, კონსტრუქციებს, რობოტებს; შემდეგ კი წარადგენენ თანატოლებთან; ქმნიან ჩანახატებს, „აცოცხლებენ“ ნახატებს და ახმოვანებენ პერსონაჟებს.
მეორადი ნივთებისგან ბაღის მოსწავლეები ქმნიან და აწყობენ სხვადსახვა შინაარსის პროდუქტებს, რომელთა შემდგომი გამოყენება შესაძლებელია. • კოდირების ელემენტების სწავლება: პატარები ახდენენ რობოტების დაპროგრამებას; აღწერენ მათ მოძრაობებს, ალგორითმს; სამუშაო დაფაზე მათ მიერ დაწერილი პროგრამით რობოტმა სხვადასხვა წინაღობა უნდა გადალახოს და მრავალფეროვანი დავალება შეასრულოს. ალგორითმიზაციის აქტივობები
კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება: • ინტერაქტიული მაგიდების და ინტერაქტიული დაფის გამოყენებით ბავშვები ეჩვევიან სხვადასხვა პროგრამასთან მუშაობას, საგანმანათლებლო თამაშების გამოყენებით კი სწავლობენ კომუნიკაციას და თანმშრომლობას, უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის უნარები.
კრეატიულობას და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება ხელნაკეთი მანქანების შექმნა, რომლებიც მექანიკური და აერო დინამიკის ელემენტების გამოყენებით მოძრაობენ.

ბავშვები ყოველდღიურ აქტივობებში იყენებენ **STEAM** უნარებს, მაშინაც კი, როდესაც არ ფიქრობენ ამაზე. ეს ხდება ბუნებრივად, პროცესში, როდესაც ბავშვები აკვირდებიან, იკვლევენ, თამაშობენ და ცდიან ახალ ნივთებს, საგნებს, გარემოს.

დიფერენცირებული მიდგომით, შესაძლოა აქტივობის გამარტივება ან დავალების ნაბიჯების რაოდენობის შემცირება. მცირე მითითება დაეხმარება ბავშვებს გააძლიერონ თავიანთი ცოდნა, ეს ეხმარება მათ მეტის გარკვევაში და ისინი ახერხებენ დამოუკიდებლად სწავლას. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ უყურონ თუ როგორ ატრიალებს ბორბალს ქვიშა, როცა ქვიშას აყრი. თუმცა შესაძლოა ვერ შეამჩნიონ კავშირი ქვიშის რაოდენობასა და ბორბლის ბრუნვის სიჩქარეს შორის. კითხვამ, მინიშნებამ შესაძლოა დაეხმაროს ბავშვს გაგებაში და ხელი შეუწყოს შემდგომ გამოძიებას.

ყოველდღიური ენა, რომელიც მხარს უჭერს STEAM აზროვნებას:

კითხვა

რა გაინტერესებს? რა გინდა რომ იცოდე?

დაკვირვება

რას ხედავ? რა გესმის? როგორ ჟღერს? რა აქვთ საერთო? რით განსხვავდებიან? რა ხდება, როცა ცდილობ რომ...?

ვარაუდი

როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? როგორია თქვენი პროგნოზები? რატომ ფიქრობ ამას? როგორ გავიგოთ?

კვლევა/ექსპერიმენტი

რას ამჩნევთ? რა იცვლება? რა სცადე? დავხატოთ რასაც ვხედავ.

დისკუსია/მსჯელობა

რა მოხდა? რა შეამჩნიე? როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს? რა შეგვიძლია გამოვიკვლიოთ შემდეგში?

STEAM პროგრამის განხორციელება საბავშვო ბაღში ბავშვების კრეატიულ და ცნობისმოყვარე გონებას უბიძგებს იფიქრონ, დაინახონ საგნები სხვადასხვა პერსპექტივიდან და გამოიყენონ მათ გარშემო არსებული ნივთები, ინსტრუმენტები, სათამაშოები ახლებურად, მიიღონ ახალი გამოცდილება.

წიგნიერება

წიგნიერების დახმარებით სკოლამდელი ასაკის მოსწავლე შეიმეცნებს სამყაროს. ბავშვებმა მარტო წიგნი კი არ უნდა შეიყვარონ, არამედ წიგნიერებით უნდა განუვითარდეთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის, დასკვნების გამოტანის უნარები.

ბავშვის წიგნიერება ადრეული ასაკიდან იწყება და თანდათან ვითარდება სოციო-კულტურული გარემოს ზეგავლენით. წიგნიერების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ წიგნების კითხვა-განხილვა, არამედ პოზიტიური ელფერით დატვირთული ურთიერთობები უფროსებისა ბავშვებთან და თავად ბავშვებისა თანატოლებთან.

როგორ ხდება მოსწავლეთა პიროვნული განვითარების წახალისება უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტში წიგნიერების გზით?

უპირვლესყოვლისა, წიგნის კითხვისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ილუსტრაციებზე, პერსონაჟების ხასიათზე, წაახალისებს კითხვების დასმას პერსონაჟების შესახებ; წაახალისებს, გამოთქვან ვარაუდები წიგნის სიუჟეტთან დაკავშირებით; მასწავლებელი ეხმარება მათ წიგნის სიუჟეტის, პერსონაჟების ქცევის გაანალიზებაში, მათი მახასიათებლების შედარებაში, სიუჟეტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმაში. მასწავლებელი ცდილობს წაკითხული ბავშვის რეალურ გამოცდილებას დაუკავშიროს. წაახალისებს ბავშვებს განასახიერონ წიგნის პერსონაჟები, გამოხატონ მათი გრძნობები და ემოციები. წიგნის თემების შერჩევით, კითხვით, შესაძლებელია ბავშვები დავაფიქროთ ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის საკუთარი თავის იდენტიფიცირებაზე, იმაზე, რომ ის არის სამყაროს ნაწილი.

როგორ ხდება ფორმალური განათლების უზრუნველყოფა წიგნიერების გზით?

წიგნიერების გზით ფორმალური განათლების უზრუნველყოფა ხდება შემდეგი მიდგომებით:

- საბავშვო ბაღის სივრცეში მდიდარი, ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკის არსებობა;
- უფროსის მიერ წიგნის ხმამაღალი კითხვა-განხილვა შერჩეული თემიდან გამომდინარე;

- შესაძლებლობის არსებობა, რომ ბავშვმა გაიგოს ახალი სიტყვების მნიშვნელობა; ლექსიკური ერთეულების გაგება სხვების დახმარებით;
- ბავშვმა კვლევის შედეგად მიიღოს პასუხები დასმულ კითხვებზე.

როგორ ხდება STEAM - განათლების უზრუნველყოფა წიგნიერების გზით?

ამ შემთხვევაში წაკითხულის გააზრების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება თოჯინების დამზადებაში, რათა განასახირეონ პერსონაჟები. წიგნის სიუჟეტის მიხედვით გააკეთებენ მარტივ დიორამას ან აპლიკაციას, მუშაობის დროს ბავშვებს ეძლევათ საშუალება, რომ საკუთარი ინტერპრეტაციით მოახდინონ სიუჟეტისა და პერსონაჟების ცვლილება. LEGO - ს ფუნქციურად გამოყენება ნაწარმოებებიდან გამომდინარე.

სოციალურ-ემოციური განვითარება

ბავშვის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური და ემოციური უნარების ეტაპობრივად განვითარება. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალურ-ემოციური სფერო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: თვითშემეცნება; საკუთარი თავის მართვის უნარი ; სოციალური სიტუაციისა და კავშირების წვდომის უნარი; ურთიერთობის უნარები; პასუხისმგებლობაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ემოციური განვითარება, ემოციური ინტელექტი არის უნარი ამოიცნო, გაიგო, დაასახელო საკუთარი და სხვისი ემოციები. ამასთან შეძლო მართო ემოციები და მისი გამოხატვის ფორმები. კვლევებმა დაამტკიცეს (Durlak et al., 2011), რომ ემოციური ინტელექტი ხელს უწყობს წარმატების მოპოვებას სხვადასხვა სფეროში. როგორია ემოციურად კომპეტენტური ბავშვი? ის, ვისაც შეუძლია დადებითი ურთიერთობები დაამყაროს სხვებთან, პოზიტიურად გამოხატოს საკუთარი განცდები და ემოციები, ვისაც შეუძლია მართოს ძლიერი ემოციები და გაუმკლავდეს გამოწვევებს. ამასთან კავშირშია ისეთი უნარები, როგორიცაა მეგობრობა, ემპათია, თვითშეფასება, საკუთარ თავში დარწმუნებულობა.

ევროპულ ბაღში შექმნილია ის სივრცე, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ გამოხატავენ თავიანთ ემოციებს.

სოციო-ემოციური სწავლება წიგნიერების მიმართულებით შემდეგი სტატეგიებით ხორციელდება :

- სოციო-ემოციური საკითხთან დაკავშირებით თემის შესახებ წიგნების/ამბების წაკითხვა, თხრობა. საკითხავი მასალა მოიცავს სოციო-ემოციურ შინაარსს, კონფლიქტურ სიტუაციებს, მარტივ დილემებს (მაგ.: რას განიცდის, რამ გამოიწვია გმირის ეს ემოცია, თავად თუ განუცდია მსგავსი).
- ლექსიკაზე მუშაობა, ბავშვები სწავლობენ ემოციის გამომხატველ სიტყვებს (ე.წ. გრძნობების ლექსიკა), სიტყვები ეხმარება ბავშვებს აღიქვან და დაასახელონ ემოციები, უთხრას სხვას თავისი ემოციების შესახებ, მოახდინოს ამის კომუნიკაცია.
- მასწავლებლის მხრიდან როლის მორგება და მოდელირება, შემდეგ ბავშვებისათვის მარტივი როლური თამაშის ტექნიკის შეთავაზება (მაგ.: ადამიანის

ემოციების გამომხატველი სხვადასხვა ფოტოების თვალიერება, შემდეგ კი კითხვების დასმა საკითხის გარშემო).

- ვიდეორესურსების გამოყენება (ვიდეო მკაფიოდ წარმოაჩენს სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებულ რთულ სიტუაციებს და იძლევა მყისიერი რეაგირების, დეტალებზე მიმართული დისკუსიის საშუალებას).
- სამუშაო ფურცლები/კონკრეტული სასწავლო ინსტრუმენტები (მაგ.: ამოიცანი ემოცია ნახატის/ფოტოს მიხედვით)
- ვიზუალური რესურსები, სქემები, პოსტერები, სხვა ვიზუალური მასალა სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებით.

ხელოვნება

ხელოვნება ბავშვებს ეხმარება, გახდნენ უფრო შემოქმედებითნი, განივითარონ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, შეიძინონ სენსორულ-მოტორული, სოციალური უნარ-ჩვევები. ხელოვნება მათ ეხმარებათ ფსიქო-ემოციური დაძაბულობის მოხსნაში.

ხელოვნება კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ბავშვები საკუთარი თავისა და გარემოს შესაცნობად მიმართავენ. ხელოვნების საშუალებით ბავშვები თავისებურ ინტერპრეტაციას უძებნიან ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ პერსპექტივებს.

ხელოვნების, ცეკვის, მუსიკის მიმართულებით აქტივობები ბავშვებს ყოველკვირეულად უტარდებათ. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება ბავშვების ასაკობრივ ჯგუფებს, ხელს უწყობს მათ განვითარებას და ხშირად ამდიდრებს კურიკულუმით განსაზღვრულ ტრანსდისციპლინარულ თემებს.

ART სტუდია

ART სტუდია აერთიანებს ისეთ საქმინობებს როგორიცაა: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება. სახვითი ხელოვნების უნარების განვითარება ბავშვებში მიმდინარეობს გეგმაზომიერად და სისტემატიურად.

აქ არ ვასწავლით, როგორ უნდა ხატონ “სწორად” ბავშვებს ეძლევათ საშუალება მიიღონ სიამოვნება, სიხარული ხელოვნების შექმნის პროცესისგან.

ბავშვების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის მარაგის თანდათანობით გაფართოებას, რომელიც მათ გარშემო სამყაროში ობიექტების თვისებების, ფორმის, ფერის, ზომის, სივრცეში პოზიციის შესახებ ინფორმაციის მიღებას მოიცავს.

ბავშვები განსაზღვრავენ და ასახელებენ ამ თვისებებს, ადარებენ ობიექტებს, პოულობენ მსგავსებებს და განსხვავებებს, ანუ ასრულებენ გონებრივ მოქმედებებს.

ამრიგად, ვიზუალური აქტივობა ხელს უწყობს სენსორულ განათლებას და ვიზუალურ-ფიგურული აზროვნების განვითარებას.

ბავშვები ავარჯიშებენ მეხსიერებას და ყურადღებას. ისინი სწავლობს ანალიზს, გაზომვას და შედარებას. ბავშვები აცნობიერებენ მასალების თვისებებს, სწავლობენ მოძრაობებს, რომლებიც აუცილებელია გარკვეული ფორმებისა და ხაზების შესაქმნელად.

ხელოვნება ხელს უწყობს კომუნიკაციის უნარების, მეტყველების განვითარებას, როდესაც ბავშვები აღწერენ მათ ნახატს/ნაკეთობას (ჩანაფიქრი, ფერი, ფორმა, ემოცია და ა.შ)

ბავშვების ესთეტიკური აღზრდისთვის და მათი ვიზუალური შესაძლებლობების განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშების გაცნობა.

ამდენად ხელოვნების სტუდიაში ბავშებს უვითარდება მოტორული უნარები, ფანტაზია, ავარჯიშებენ მეხსიერებას და ყურადღებას, სწავლობს ანალიზს, გაზომვას და შედარებას. ბავშვი იძენს ისეთ თვისებებს, როგორიცაა შეუპოვრობა, მოთმინება, სიზუსტე, სამუშაო პროცესის დაგეგმვის უნარი.

სწავლების პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს იძულებით, არ უნდა მოიცავდეს მკაცრ ინსტრუქციებს და ჩარჩოებს

- *ეცნობიან მასალებს, იღებენ ინსტრუქციებს მათი უსაფრთხო მოხმარების თვალსაზრისით*

1. **თავისუფალი არჩევანი -** ბავშვები თავად იღებენ გადაწყვეტილებას რა და როგორ შექმნან (ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება), მუშაობენ ინდივიდუალურად, მასწავლებელი აკვირდება პროცეს მათი ინტერესების, საჭიროების დასადგენად, ასევე დაკვირვება. რამდენად აისახა მიმდინარე ტრანდისციპლინარული თემები მათ არჩევანზე.
2. **ტრანსდისციპლინარული თემის გარშემო** - საუბარი, ისტორიების/ზღაპრების კითხვა, კითხვებზე პასუხი, მსჯელობა თემის გარშემო რაიმეს შექმნა (მცირე ჯგუფები, ინდივიდუალური). ამ შემთხვევაშიც ბავშვებს ეძლევათ მასალის და ტექნიკის არჩევანის თავისუფლება.

- *შექმნილი ნამუშევრების გარშემო ბავშვების მოსმენა, კითხვების დასმა*
- *მასალების და ნამუშევრების ერთად მოწესრიგება*

მუსიკის და ცეკვის შემოქმედები აქტივობები

მუსიკის მიმართულებით აღსაზრდელები ეცნობიან ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას, თამაშობენ და მონაწილეობენ სხვადასხვა ინტერაქტიულ აქტივობებში, რათა გააცნობიერონ ძირითადი უნარები, რომლებსაც გამოიყენებენ მათი მუსიკალური შესაძლებლობების ზრდისთვის. ისისნი ეცნობიან რითმს, სიმღერების

სტრუქტურას, მელოდიას, უსმენენ მუსიკას, სწავლობენ სიმღერებს, უკრავენ სხვადასხვა მარტივ ინსტრუმენტებზე.

მუსიკა და მოძრავი აქტივობები მარტივი მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოიკვლიონ მუსიკა მოძრაობის მეშვეობით. 3-5 წლის ბავშვებს ეს აძლევს შესაძლებლობას განიცადონ მუსიკა და რიტმი ასაკის შესაბამისი გზებით.

ბავშვებს უყვართ შემოქმედებითი მოძრაობა და ბგერების შესწავლა. მუსიკა და მოძრაობა ხელს უწყობს ფანტაზიის განვითარებას. კრეატიულობის წახალისება კი ეხმარება ბავშვებს განივითარონ პრობლემების გადაჭრის უნარები ასაკის მატებასთან ერთად.

მოძრავი თამაშები მუსიკის თანხლებით, გულისხმობს ინსტრუქციების მოსმენას და მიყოლას. ამდენად ეს ასევე ავითარებს მოსმენის, ინსტრუქციის გაგების უნარს.

ცეკვის მიმართულებით ბავშვები სწავლობენ ხელებისა და ფეხების მოძრაობის კოორდინირებას. სწავლობენ ელემენტარულ საცეკვაო მოძრაობებს. დგამენ მარტივ ქორეოგრაფიულ კომპოზიციებს, რაც მოქნილობას, პლასტიკას და ამავე დროს გონებასა და მახსოვრობასაც ავარჯისებს.

მოძრავი თამაშები მუსიკის თანხებით, რომელიც მოიცავს მაგ. ტაშის დაკვრას, ფეხის დაბაკუნებას, გაშეშებას და სხვ. ეხმარება ბავშვებს კოორდინაციის, რითმის გრძნობის განვითარებაში. ისინი ასევე ავითარებენ ცნობიერებას საკუთარი სხეულისა და პირადი სივრცის შესახებ.

ცეკვის აქტივობების დაგეგმვა ორი განსხვავებული ფორმით ხდება. ერთი არის საცეკვაო აქტივობა „გაიმეორე“ და მეორე არის იმპროვიზირებული მოძრაობა თემისკენ ან მასწავლებლის ხელმძღვანელობით თემის საპასუხოდ. მაგ. მოსამზადეელ ჯგუფში შეიძლება ეს იყოს სხვადასხვა ქვეყნების ცეკვების გაცნობა (თემა- სად ვარ დროში და სივრცეში) ; პატარებთან როგორ გადაადგილდებიან ცხოველები , როგორ დადის დათვი? დაფრინავს პეპელა? (თემა - როგორ მუშაობს სამყარო) და სხვა;

ინგლისური, როგორც მეორე ენა

ბავშვები არიან ბუნებრივი ენის შემსწავლელნი; მოზარდებისგან განსხვავებით, ისინი თვითმოტივირებულნი არიან, აითვისონ ენა შეგნებული სწავლის გარეშე. მათ აქვთ უნარი მიბაძონ გამოთქმას და თავად შეიმუშაონ წესები. ბავშვები იყენებენ თავიანთ ინდივიდუალურ, თანდაყოლილ ენის სწავლის სტრატეგიებს მშობლიური ენის შესასწავლად და მალევე აღმოაჩენენ, რომ მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ეს სტრატეგიები ინგლისური ენის შესასწავლად.

ადრეული დაწყების უპირატესობა :

- მცირეწლოვან ბავშვებს აქვთ დრო, რომ ისწავლონ თამაშის მსგავსი აქტივობებით.
- ბავშვები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა აითვისონ მეორე ენა ჯერ კიდევ ბაღის ასაკში, იყენებენ ენის სწავლის იმავე თანდაყოლილ სტრატეგიებს მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვა ენების სწავლისას.
- როდესაც ბავშვები სწავლობენ სხვა ენას, ისინი ადრეულად აცნობიერებენ მსგავსებებსა და განსხვავებებს მსოფლიოს კულტურებს შორის.

ენა არის გამოცდილების, გრძნობებისა და ემოციების გამოხატვის საშუალება. სწავლების მეთოდები ითვალისწინებს ბავშვების პირად ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე და მასწავლებელიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კულტურის დიალოგში. სწავლა აგებულია მოტივაციაზე, ჩართულობასა და გამოცდილებაზე. ამის წყალობით ბავშვები აზრობრივად აღიქვამენ ინფორმაციას,
იგებენ ფონეტიკისა და ლექსიკის წესებს.

ჩვენ ვსწავლობთ: რეალობა, ბუნება და საზოგადოება (ზოგადი მეთოდები). მასალა ნაწილდება კონცენტრირებულად, ანუ ცნობილ, შესწავლილ მასალას თანდათან ემატება ახალი, უცნობი, მარტივიდან უფრო რთულისკენ.
ლექსიკური და გრამატიკული მასალის შერჩევა ხდება აქტუალური კომუნიკაციური და სამეტყველო სიტუაციების საფუძველზე. სწავლება მიზნად ისახავს ბავშვების პიროვნული შესაძლებლობების განვითარებას, თვითგამოხატვას, პერსონალური იდეების სხვადასხვა გზით განხორციელების უნარს და უცხო ენის, როგორც კომუნიკაციის ბუნებრივ პროცესს აღქმას.

ენის შესწავლის საწყის ეტაპზე 3-6 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - თამაში სწავლისა და განვითარების ფუნდამენტური ასპექტია. ყველა აქტივობა აგებულია თამაშის,
საუბრის, ექსპერიმენტების, სხვადასხვა მასალების, გამოცდილების, ვიდეო და აუდიო მასალებთან მუშაობის გზით.
სწავლების მეთოდები: ზეპირი და კოლექტიური.
თითოეული გაკვეთილი იყენებს მინიმუმ 3 ელემენტს ქვემოთ მოცემული სიიდან:
- აქტიური თამაშები
- ხელობა
- თითების თამაშები
- ასოციაციური თამაშები
- თამაშები ფანტაზიის ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის
- მუსიკალური თამაშები
- გუნდური თამაშები
- კლასში ბავშვები ასევე აუმჯობესებენ შემდეგ უნარებს:
- შემოქმედებითი და აბსტრაქტული აზროვნება
- უხეში და წვრილი მოტორული უნარები
- კონცენტრაცია და გამძლეობა
- გუნდური მუშაობა
- ემოციური ინტელექტი

მეთოდები

თამაში სწავლის უპირველესი საშუალებაა. თამაში აუცილებელია ბავშვის ჯანსაღი სოციალურ-ემოციური, ფიზიკური, კოგნიტური განვითარებისთვის და არის მომავალი აკადემიური წარმატების მყარი საფუძველი, რადგან აყალიბებს ბავშვის პოზიტიურ განწყობას სწავლის მიმართ.

თვითრეგულირება ეხმარება ბავშვებს დაგეგმონ, დაიმახსოვრონ ინსტრუქციები და შეასრულონ დავალება. წარმოსახვა, ცნობისმოყვარეობა, კვლევა და კრეატიულობა მნიშვნელოვანია ახალი იდეების გენერირებისთვის, პრობლემების გადასაჭრელად, გამძლეობის გასავითარებლად და ცოდნის ერთი სიტუაციიდან მეორეში გადასატანად.

ბავშვების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში აძლიერებს მათ გაგებას ცნებების, შემოქმედებითი აზროვნების და ძიების პროცესების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის. სწავლის გზაზე წინსვლისას ისინი ავითარებენ ახალ უნარებსა და კომპეტენციებს, აგროვებენ ახალ ცოდნას, ამოწმებენ არსებულ იდეებს და აუმჯობესებენ მათ კვლევის, ექსპერიმენტებისა და კომუნიკაციის გზით. ეს მნიშვნელოვანი სწავლება ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ თავიანთი სამყარო და განავითარონ თავიანთი ცოდნა და უნარები. განსხვავებული გზები, რომლითაც ბავშვები გამოხატავენ საკუთარ თავს და აღწერენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს, წახალისებულია.

თამაში ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოიკვლიონ და გაიგონ მათ ირგვლივ სამყაროზე, გამოიყენონ და განავითარონ თავიანთი ფანტაზია და კრეატიულობა. ბავშვები ხშირად თამაშობენ უბრალოდ გასართობად და სიამოვნებისთვის. ასევე თამაში ხშირად ასახავს იმას, რაც მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. თამაში არის ურთიერთობის დამყარების ან გაძლიერების გზა.

ბავშვები საკუთარი სწავლის აქტიური მონაწილეები არიან, როდესაც ბავშვებს ეძლევათ აქტიური როლი საკუთარ სწავლაში, აღმზრდელების როლი გადადის ინსტრუქტორიდან თანაკონსტრუქტორზე და ფასილიტატორზე.

აღმზრდელები ქმნიან გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თბილ, სანდო ურთიერთობებს (უფროსებსა და ბავშვს და ბავშვებს) შორის. ისინი ეხმარებიან ბავშვებს შინაგანი მოტივაციის, აზროვნების სტრატეგიების განვითარებაში და მოუწოდებენ ბავშვებს იყვნენ თვითდაჯერებულები, არ დანებდნენ წარუმატებლობის შემთხვევაში და გამოიგონონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიზნის მისაღწევად.

აღმზრდელები უზრუნველყოფენ ბალანსს ბავშვის ხელმძღვანელობით, ბავშვის ინიცირებული და უფროსის მხარდაჭერით სწავლას შორის. აღმზრდელები ურთიერთობენ ბავშვებთან მიჯაჭვულობის შესაქმნელად. ამისათვის ისინი იყენებენ რუტინებს და სათამაშო გამოცდილებას. აღმზდელები აქტიურად უჭერენ მხარს ყველა ბავშვის თამაშში ჩართვას, ეხმარებიან ბავშვებს გააცნობიერონ, როდის არის თამაში უსამართლო და სთავაზობენ კონსტრუქციულ გზებს. ეს მნიშვნელოვანია მზრუნველი, სამართლიანი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. აღიარებენ

სპონტანურად შესწავლის გზებს და იყენებენ, ბავშვების ცოდნის და უნარების განვითარებისთვის.

აღმზრდელები იყენებენ ყოველდღიურ რუტინას, როგორც შესაძლებლობას ასწავლონ და მხარი დაუჭირონ ბავშვების მზარდ დამოუკიდებლობას. მათი მიზანია დაეხარონ ბავშვებს გამოხატონ თავიანთი ცოდნა და აზროვნება, კრეატიულობა და ემოციური მდგომარეობა თვალსაჩინო გზებით ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, მაგალითად, ვიზუალური ხელოვნების საშუალებით.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს ყურადღებას მიაქციონ მათემატიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ცნებებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარემოში.

ისინი ეხმარებიან ბავშვებს შინაგანი მოტივაციის, აზროვნების სტრატეგიების განვითარებაში და მოუწოდებენ ბავშვებს იყვნენ თვითდაჯერებულები, არ დანებდნენ წარუმატებლობის შემთხვევაში და გამოიგონონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიზნის მისაღწევად.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვს რომ (მაგ.) ...

- ისაუბროს მისი აზროვნების პროცესებზე და გამოიყენოს მარტივი მინიშნებები თავისი სწავლის ასახვისთვის მიზნით, მაგალითად, რა წარიმართა კარგად ან ვერ გამოვიდა ან როგორ შეიძლება სხვაგვარად გააკეთოს რამე შემდეგ ჯერზე.
- ჩაატაროს კვლევა სხვებთან ერთად და წვლილი შეიტანოს კოლექტიურ გამოძიებაში
- შექმნას საკუთარი იმპროვიზაციები თამაშში სად შეუერთდებიან თანჯგუფელები და აღმზრდელები.
- დამოუკიდებლად აირჩიოს ქტივობები უფროსების დახმარების გარეშე.
- ჩაატაროს ფორმის, ფერის, ხაზების, ტექსტურის, კონტრასტის, ნიმუშების შესწავლა და ექსპერიმენტები ხელოვნებაში (2D , 3D ფორმები, ობიქეტები)
- შეძლოს იდეებისა და თეორიების შესწავლა წარმოსახვისა და თამაშის გამოყენებით
- შეძლოს სიმბოლური პიესისა და დრამატურგიის, მუსიკისა და მოძრაობის გამოყენება, ექსპერიმენტი ხმით, ენით, ჟესტებით, კოსტიუმებითა და რეკვიზიტებით
- გამოიყენოს საგნები, ბგერები, მოძრაობები და სიტყვები იდეების გაოსახატად
- გამოხატოს საკუთარი თავი ხელოვნებისა და მულტიმედიის საშუალებით, როგორიცაა ფანქრები, საღებავები, სათამაშო ცომი ან თიხა, სამშენებლო მასალები, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, ფოტოგრაფია
- გამოიყენოს გრძნობები (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება) ობიექტებისა და მასალების შესასწავლად შიდა და გარე სივრცეში.
- დაუკრას მუსიკალურ ინსტრუმენტებზე და შექმენას მარტივი კომპოზიციები
- მონაწილეობა მიიღოს როლურ თამაშებში
- გამოიყენოს მარტივი ხელსაწყოები და მასალები იდეების შესასწავლად, დასაშლელად, ასაწყობად, შესაცვლელად და ახალის შესაქმნელად.

თამაშის დაგეგმვა

- აღმზრდელი ქმნის შიდა და გარე გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს სათამაშო შესაძლებლობების ფართო სპექტრს.
- ამზადებს, გეგმავს და აწყობს აქტივობებს შეფასებაზე დაყრდნობით (ინფორმაცია და მიზნები და სასწავლო მიზნები, თემები)
- უზრუნველყოფს სათამაშო გამოცდილებას, რომელიც არის უსაფრთხო, რთული, ინკლუზიური და სასიამოვნო
- აძლევს ბავშვებს არჩევანის საშუალებას თუ რა უნდა გააკეთონ და როდის.

თამაშის ხელშეწყობა

- აღმზრედლი ესაუბრება ბავშვებს მათი თამაშის შესახებ, პატივს სცემს და მხარს უჭერს მათ არჩევანს.
- მხარს უჭერს ჩარევის გარეშე, მონაწილეობს თამაშში მოწვევისას ან როცა მას შეუძლია დადებითი
- წვლილი შეიტანოს (თამაშით მირებული უნარები, მოდელება სათამაშო ქცევების)
- ეხმარება ყველა ბავშვს იყოს მოთამაშე, მხარს უჭერს ურთიერთქმედებებს და მოქმედებს როგორც შუამავალი
- იცავს ბავშვებს თამაშის დროს ზიანისგან ჩარევით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც შეიძლება პოტენციურად არასასიამოვნო იყოს ან საზიანოა ბავშვებისთვის (ფიზიკურად ან ემოციურად).

თამაშის განხილვა

- აღმზრდელი აგროვებს ინფორმაციას ბავშვების თამაშის დროს.
- აკვირდება, ესაუბრება და უსმენს ბავშვები როცა თამაშობენ
- აკვირდება შიდა და გარე გარემო ორგანიზება, როგორ უწყობს ხელს ან აფერხებს თამაშს.
- იცის თითოეული ბავშვის თამაშის ნიმუში და მისი პრეფერენციები, ინტერესები
- უზიარებს ინფორმაციას ბავშვებს და ოჯხის წევრებს
- იყენებს შეფასების ინფორმაციას მომავალი დაგეგმისთვის.

პროექტებით სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს კეთებით სწავლას, რაც ეხმარება ბავშვებს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ "პროექტზე დაფუძნებული სწავლება აერთიანებს ცოდნას და კეთებას". ბავშვი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აშენებს ახალ ცოდნას. პროექტში მონაწილეები უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებას. აღსაზრდელი ცდილობს იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები.

თანამედროვე ბავშვების ცხოვრებისთვის მოსამზადებლად პროექტზე დაფუძნებული სწავლება საუკეთესო საშუალებაა. ის ავითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას. დაფუძნებულია თანამშრომლობითი სწავლების პრინციპებზე და ხელს უწყობს ბავშვის სოციუმში ინტეგრაციას. მეთოდის გამოყენება ნებისმიერი თემის შესწავლის დროს ქმნის საინტერესო სასწავლო გარემოს.

პროექტის მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ კვლევას. პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად:

- *პროექტის საკითხის შერჩევა, პროექტის დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება;*
- *კვლევა;*
- *პრეზენტაცია/შეჯამება;*

I ეტაპი - თემის შერჩევა, კითხვების ფორმულირება

შერჩეული თემა უნდა იყოს კონკრეტული, მარტივი, რათა ბავშვისთვის იყოს გასაგები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შერჩევის დროს გათვალისწინებულ იქნას ბავშვების ინტერესი.
Გავარკვიოთ ბავშვებმა რა იციან ამ კონკრეტული საკითხის შესახებ და რა აინტერესებთ, რადგან საუბარია სკოლამდელი ასაკის მოსწავლეებზე მასწავლებელი არის დამხმარე და ბავშვების მოსაზრებებს აყალიბებს კითხვების სახით. ამ ეტაპზე, თემის შერჩევის შემდეგ კითხვების ფორმულირებას ვახდენთ.

II ეტაპი - კვლევა

ძირითადი კითხვების ჩამოყალიბების შემდეგ იწყება პროექტის მომდევნო ეტაპი, რომელიც არის აქტიური კვლევისა და საქმიანობების დრო, როცა ბავშვები ექსპერიმენტების, ცდების საშუალებით საკუთარ კითხვებზე პასუხებს ეძებენ. მეორე ეტაპის მიმდინარეობისას აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

- *ექსკურსია;*
- *ფიზიკური გარემოს ცვლილება თემიდან გამომდინარე;*
- *საინტერესო მასალების შეთავბვაზება;*
- *ექსპერიმენტების ჩატარება;*
- *თემის/საკითხის/საგნის ექსპერტის სტუმრობა; (შესაძლებელია ამ კუთხით მშობელთა ჩართლობაც).*

III ეტაპი - პრეზენტაცია/შეჯამება

პირველი და მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ბავშვებთან ერთად შევაჯამებთ, რა იცოდნენ, როგორ იკვლიეს საკითხი და რა ცოდნა მიიღეს. ამის შემდეგ ბავშვებთან ერთად გვეგმავთ შემაჯამებელ აქტივობას, რომელშიც მათი ჩართვა აუცილებელია. პრეზენტაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე:

- *ბავშვების ნამუშევრების გამოფენა;*
- *როლური თამაში/ინსცენირება (თუ ამის საშუალებას პროექტის თემა იძლევა);*
- *პოსტერების დამზადება, რომელთა შესახებაც ბავშვები ისაუბრებენ და თავად შეაჯამებენ პროექტს და ა.შ...*

შეფასება

სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები/კომპეტენციები განსაზღვრავს ადრეული განათლების შინაარსს. შედეგები/კომპეტენციები იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას ბავშვის პროგრესის შესახებ, აკონკრეტებს სწავლებისა და სწავლის შინაარსს და მიუთითებს იმაზე, თუ რისი მიღწევა შეუძლია ბავშვების უმეტესობას.

ბავშვები ავითარებენ ინდივიდუალურობას, როდესაც თავს დაფასებულად, წარმატებულად და მიღებულად გრძნობენ, ეს მათ საშუალებას აძლევს მიიღონ ახალი გამოწვევები, გამოხატონ საკუთარი თავი, დაძლიონ განსხვავებები სხვებთან და შეუძლიათ საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობებისადმი ნდობის დემონსტრირება.

აღმზრდელები, მშობლების მხარდაჭერით, განუწყვეტლივ აფასებენ ბავშვების ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს სასწავლო გეგმის ოთხ მიმართულებაში, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან.

ბავშვების სწავლის შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესს, როგორც მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ რა იციან ბავშვებმა. ის მოიცავს ბავშვების სწავლის დაგეგმვას, დოკუმენტირებას და შეფასებას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას აძლევს აღმზრდელებს, ოჯახებთან, ბავშვებთან და სხვა პროფესიონალებთან პარტნიორობით, ეფექტურად დაგეგმონ ბავშვების მიმდინარე და მომავალი განათლება; ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი მხარდაჭერა გარკვეული სწავლის შედეგების მისაღწევად, აღმზრდელის ან ოჯახების და სპეციალისტების დახმარებით;

შედეგი, ასახავს ძირითად კრიტერიუმებს, რომლითაც უნდა გაიზომოს ბავშვების პროგრესი, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ყველა ბავშვი ავლენს თავის ცოდნას სხვადასხვა გზით. ბავშვები იზრდებიან და ვითარდებიან სხვადასხვა ტემპებით და მოდიან საბავშვო ბაღში განსხვავებული გამოცდილებით, ამდენად შეფასების პროცესი არ არის ორიენტირებული მხოლოდ ბავშვების სწავლის საბოლოო შედეგზე; ისინი თანაბრად ითვალისწინებენ ცალკეული ბავშვების მიერ „გავლილ მანძილს“. იგი ხაზს უსვამს მცირე წარმატებებს, პროგრესს და ხელს უწყობს ბავშვების მოტივაციას.

შეფასება არის:

- რეგულარული და გამჭვირვალე
- მკაფიოდ ორიენტირებული როგორც პროცესებზე, ასევე შედეგებზე
- ინდივიდუალური

შეფასების მიზანი

- გამოიკვეთოს ბავშვისა და მისი ინტერესების სრული სურათი
- იდენტიფიცირდეს, თუ რას/როგორ ფიქრობს და სწავლობს ბავშვი;
- შეაფასოს, რამდენად ეფექტურია გარემო სასწავლო პროცესისთვის;
- შეგროვებული მონაცემები გვეხმარება სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად და ბავშვების სწავლის გასაადვილებლად.

- გვეხმარება ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროებების ადრეული გამოვლენაში
- ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ერთად ინკლუზიური შეფასების მეთოდების შემუშავება და დაგეგმვაში.

ბავშვების უნარების, სწავლის შეფასებისას არ უნდა იქნას გამოყენებული არც ერთი გამოცდის ფორმა, არც ზეპირი და არც წერილობითი. დაუშვებელია მკაცრი კრიტიკა და „ქცევის შეფასების სკალა“.

ბავშვებს:
• აქვთ განსხვავებული შესწავლის სტილი;
• აქვთ განსხვავებულ კულტურული გამოცდილებები, მოლოდინი და საჭიროებები;
• კონტექსტზე დაყრდნობით, სხვადასხვანირად ახერხებენ შესაძლებლობების გამოვლენას;
• სჭირდებათ საკუთარი პროგრესისა და გასაუმჯობესებელი არეალების სწორად იდენტიფიცირება;
• სჭირდებათ პოზიტიური უკუკავშირი.

შემოდგომის შეხვედრაზე აღმზრდელი მშობლებთან განიხილავს დაკვირვების შედეგებს და აცნობს მათ ასევე შეფასების ფორმას. შეფასებისას ხდება მონაცემების შეგროვება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი. სწავლის პირველი წლის განმავლობაში აღმზრდელი განსაზღვრავს ბავშვებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროებები. აღმზრდელი აცნობს მშობლებს შეფასების ფორმას, რომელიც შედგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და UNICEF-ის მიერ მოწოდებული/შემოთავაზებული კერძოდ ,,სკოლამდელი ასაკის ბავშთა შეფასების ფორმის‘‘ შესაბამისად. (დანართი 2)

დაკვირვება
ბავშვების მიღწევებზე ყურადღებით დაკვირვება ყოველდღიური პროცესია.
სწავლის მონიტორინგი არ საჭიროებს ყველაფრის ჩაწერას, ყოველდღე, თითოეული ბავშვისთვის, ყველა სფეროში. აღმზრდელები და ასისტენტები აკვირდებიან ბავშვს სხვადასხვა აქტივობების, თამაშის დროს. დაკვირვება შესაძლებელს ხდის პროგრესის დანახვას და ასევე ხელს უწყობს მიღწევების მონიტორინგს. ის ეხმარება აღმზრდელს სწავლების დიფერენცირებაში. ის მოიცავს იმას, თუ რას აკეთებენ ბავშვები სასწავლო სიტუაციებში, პროგრამის მოლოდინებში გაზიარებული კრიტერიუმების შესაბამისად. აღზრდელს შეუძლია ჩანაწერები შეინახოს რვეულში, ფურცლებზე, შეინახოს ფოტო ან ვიდეო მასალა.
აღმზრდელი მიღწეული შედეგების მიღმა ხაზს უსვას ბავშვის განვითარებას და პროგრესს, რომელსაც ის აღწევს საკუთარ თავთან მიმართებაში. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს მარტო, მასწავლებლის მხარდაჭერით თუ სხვა ბავშვების დახმარებით.

შეფასების სხვა ინსტრუმენტები

პორტფოლიო

პორტფოლიო არის ბავშვის შერჩეული ნამუშევრების ფართო კრებული, თვითშეფასების ჩანაწერები და აღმზრდელის შეფასებები შეგროვებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სწავლაში პროგრესისა და მიღწევების საჩვენებლად და შესაფასებლად. იგი გამოიყენება მშობლებთან შეხვედრებზე, რათა აჩვენონ და შეაფასონ მათი შვილის განვითარება სასწავლო მიზნებთან დაკავშირებით.

პორტფოლიო ასახავს თითოეული ბავშვის გონებრივ შრომას და მის პროგრესს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პორტფოლიო ბავშვებს საშუალებას აძლევს, გააკეთონ რეფლექსია მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ერთად, აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

ბავშვი თავად ირჩევს პორტფელში შესატან დოკუმენტებს. ეს პროცესი მნიშვნელოვანია მისი თვითშეფასების უნარის განვითარებისთვის. აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვს საკუთარი პორტფოლიოს შექმნაში. ბავშვი არა მხოლოდ ამატებს ახალ ნამუშევრებს პორთფოლიოში, არამედ ასევე მასწავლებლის ხელმძღვანელობით ადარებს, ახასიათებს და აფასებს მისი მუშაობის ცალკეულ დოკუმენტებს ან სფეროებს.

პორტფოლიოს მიზნები და ფუნქციები	**ბავშვისთვის** ● პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბება ● იმის ჩვენება, რაც მოსწონს, არ მოსწონს ● აზროვნების და ცნობიერების სტიმულირება იმის შესახებ, რაც მან იცის და შეუძლია გააკეთოს ● სწავლისთვის მოტივაციის გაზრდა ● დაფიქრდეს მის პროგრესზე
აღმზრდელისთვის ● ხაზი გაუსვას ბავშვის პროგრეს ● ბავშვის ინტერესების ხელშეწყობა და დახმარება ახალი ინტერესების აღმოჩენაში ● დაეხმაროს მისი ცოდნის ამოცნობაში და გამოყენებაში ახალის შესასწავლად. ● ბავსვის თვითშეფასების ინსტრუმენტების შესაქმნელად	**მშობლებისთვის** ● ბავშვის მიღწევების აღსანიშნავად ● ამოიცნოს და განიხილოს ბავშვის ინტერესები და პრეფერენციები. ● იცოდეს ბავშვის ცოდნა და შესაძლებლობები, - ბავშვის სწავლის მოტივაცია ● წაახალისოს რეფლექსია და პოზიტიური დამოკიდებულება, რაც ხელს უწყობს პროგრესი.

ბავშვის სასწავლო პროფილის ადრეული იდენტიფიცირებაბავშვის განვითარების დონის, ინდივიდუალური საჭიროებების და სწავლის სტილის ადრეული იდენტიფიცირება არის აუცილებელი წარმატებული სასწავლო პროცესისთვის.

“გაცნობის” ფორმა (რომელსაც ავსებენ მშობლები, შვილთან ერთად, როდესაც ბავშვი ჩაირიცხება ბაღში) აწვდის აღმზრდელებს ინფორმაციას და ემსახურება, როგორც პირველი სახელმძღვანელო პროგრესის მონიტორინგისთვის.
სწავლის პირველ თვეებში მასწავლებელი და ასისტენტი აკვირდებიან ბავშვის ქცევას, ურთიერთქმედებას და სწავლის პროცესს, რათა გამოავლინონ ბავშვის შესაძლებლობები, კომპეტენციები, სასწავლო საჭიროებები და შესაძლო გამოწვევები.

ჩვენი რუტინები, გადასვლები და განრიგი

რუტინები არის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას განრიგის შესასრულებლად.
რუტინები არსებითად არის რეგულარული აქტივობები, რომლებსაც ბავშვი ეჩვევა ელოდება თავის ცხოვრებაში. გადასვლები არის ის დრო, როდესაც ბავშვი გადადის ერთი აქტივობიდან მეორეზე.
ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რას მოელიან მათგან გადასვლის დროს. მნიშვნელოვანია მოიძებნოს გზები, რომ გადასვლები მოქნილი და სახალისო გახადეს.
რუტინული საქმიანობების დროს როგორიც არის მაგალითად ხელის დაბანა ბავშვები სწავლობენ პირად ჰიგიენისა და თვითმომსახურებას, კვების დროს ინვითარებან მოტორული უნარების, ჯანსაღი საკვების შესახებ იღებენ ინფორმაციას, ეზოში გასვლის წინ ემზადებიან, სწავლობენ დამოუკიდებლად ჩაცმას, მათი ნივთების ორგანზებას და ა.შ რუტინები და გადასვლები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის სწავლის, განვითარების მხარდაჭერისთვის.
დამოუკიდებელი აქტივობების რუტინებმა ბავშვებს უნდა მისცენ დრო და სივრცე, მიჰყვნენ იმას, რაც მათ აინტერესებს თამაშში დაშვებული თავისუფლებით. ამის საუკეთესოდ მოგვარება შესაძლებელია „თავისუფალი არჩევანის“ დროის მიწოდებით.

ორგანიზებული აქტივობები ჯგუფურ გარემოში როგორც დიდი, ასევე მცირე ჯგუფებისთვის

დიდი ჯგუფის რუტინები ეს არის დღის შეხვედრა, განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვების წიგნიერების უნარების განვითარებაში, ისევე როგორც სოციალური უნარების განვითარებაში, როგორიცაა ემოციების კონტროლი და ყურადღების მიქცევა. დიდი ჯგუფის აქტივობები გრძელდება მაქსიმუმ 15 წუთის განმავლობაში.
მცირე ჯგუფის აქტივობები საშუალებას იძლევა უფრო პერსონალური მიზნობრივი აქტივობების განხორციელების. ისისნი მიზნად ისახავს ბავშვის ჩართულობის ხელშეწყობას. ეფექტური მცირე ჯგუფების ორგანიზება მოითხოვს ფრთხილად დაგეგმვას მაგ. მცირე ჯგუფებისთვის მოთხრობების კითხვა, ბავშვების მოწვევას სამეცნიერო ექსპერიმენტს მონაწილეობის მისაღებად; მიცირე ჯგუფის შექმნა კონკრეტულ ხელოვნების პროექტზე სამუშაოდ; სამაგიდო თამაშები; ნებისმიერი აქტივობა, რომელიც საჭიროებს დამატებით წვდომას და ყურადღებას ზრდასრული ადამიანის მხრიდან.
გარე აქტივობები - თავისუფალი არჩევანის აქტივობების მსგავსად, ღია ცის ქვეშ გატარებული დრო ბავშვებს აძლევს თავისუფლებას დაიცვან თავიანთი ინტერესები. „გარე აქტივობები“ - ეზოში თამაში, ხელს უწყობს სხვა ბავშვებთან ურთიერთობას და

ხელს უწყობს უფრო დიდ გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებას. ჩვენს განრიგში დღეში მინიმუმ 1-2 საათამდე ეთმობა გარე აქტივობებს.

მშვიდი საათი ეს არის დრო როდესაც ბავშვები ისვენებენ/იძინებენ. ამ დროს შესაძლოა ბავშვებს , რომლებიც არ იძინებენ შევთავაზოთ წიგნის კითხვა, ან დაკავდნენ ინდივიდუალური აქტივობით მაგ. პაზლის აწყობა, ხატვა/წერა და სხვ. აქტივობებით, რომელიც შესაძლებელია მიმდინარეობდეს მშვიდ გარემოში და ეხმარება ბავშვს დაისვენოს ემოციურად ან ფიზიკურად.

ეზოსთვის მომზადება - გარე აქტივობისთვის მომზადების პერიოდი მოიცავს (ტუალეტი, ნივთების ორგანიზება, ჩაცმა).

კითხვის დრო (STORY TIME) - შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სწავლის გამოცდილება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ბავშვს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი ბუნებრივად აცნობიერებენ თავიანთ სამყაროს როგორც მოთხრობის, ასევე თამაშის საშუალებით. ის წაახალისებს უნარებს, როგორიცაა ენა და წიგნიერება, ასევე კოგნიტური განვითარება და სოციალურ-ემოციური ზრდა.

შესვენება გადასვლა ერთი აქტივობიდან მეორეზე.

(განრიგი - დანართი 2)

გარემო

ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, მრავალდფეროვანი და მიმზიდველი. რომელიც ქმნის ყველასთვის თანაბარი განვითარების პირობებს და იძლევა თითოეული ბავშვის თამაშის, მოქმედების, აქტივობის, გამოხატვის, ახალი კომპეტენციების შეძენის საშუალებას. ფიზიკური გარემოს ორგანიზებისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს უნივერსალური დიზაინის პრინციპი.

ჩვენ ვქმნით ისეთ გარემოს, სადაც ყველა ბავშვს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და წარმოაჩინოს თავი.

ბავშვებს დრო სჭირდებათ თამაშის გასავითარებლად. უყვართ არჩევანის გაკეთება როდის, რა, სად, როგორ და ვისთან ერთად ითამაშონ. მათ ასევე სჭირდებათ ისეთი რეკვიზიტები, როგორიცაა სათამაშოები, აღჭურვილობა და რეალური საგნები სათამაშოდ და მანიპულირებისთვის.

ბაღის შიდა გარემო უზრუნველყოფს მოქნილობას ბავშვების სხვადასხვა სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სათამაშო სივრცეები ბუნებრივ გარემოში ხელს უწყობს ღია ინტერაქციას, სპონტანურობას, კვლევას, აღმოჩენას და ბუნებასთან ერთიანობას.

შიდა აღჭურვილობა, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული გარეთ, მოიცავს ისეთ ნივთებს, როგორიცაა ქვიშა და წყლის მაგიდები, ქაღალდი და ფანქრები, წიგნების კალათები, რომლებიც განთავსებულია სტრატეგიულად დაჩრდილულ ადგილებში და სამშენებლო ბლოკები. რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ჩართულობის სტიმულირებას და სწავლის გაფართოებულ შესაძლებლობებს.

ბაღის შიდა სივრცე მოწყობილია, რომ წაახალისოს ჯგუფური და დამოუკიდებელი სასწავლო აქტივობები მაგ. სხვადასხვა ხელსაწყოები და მასალები (კუთხეები წერისთვის, ექსპერიმენტული მაგიდები, გამადიდებელი სათვალე, კალეიდოსკოპი, ფერადი ფურცლები და ფანქრები და სხვ.

„კითხვის დრო“ არ არის ერთადერთი დრო, რომელსაც ბავშვები ატარებენ წიგნებთან - სკოლამდელ ბავშვებს უყვართ წიგნების არჩევა და დამოუკიდებლად დათვალიერება. ამიტომ წიგნები კალათაში იატაკზე ან დაბალ თაროზეა განთავსებული.

მშობელთა ჩართულობა

მშობლები ბაღის ცხოვრების აქტიური მონაწილეენი არიან. მათთან ერთად იგეგმება და ხორციელდა სხვადასხვა ერთობლივი აქტივობები და პროექტები მაგ. მხიარული სტარტები, საქველმოქმედო და სხვა ღონისძიებები, ისინი მონაწილეობას იღებენ ტრანდისციპლინარული თემის ფარგლებში აქტივობებში (მაგალითად საძიებო თემა „პროფესიები“, ხვდებიან ჯგუფებს, უყვებიან მათი საქმიანობის, პროფესიის შესახებ და სხვ.)

შეხვედრები და ანგარიშები

პროგრესის აღრიცხვა სხვადასხვაგვარად ხდება: მშობლებისა და მასწავლებლების შეხვედრები, სემესტრული ანგარიშები და ა.შ.

აღმზრდელები და მშობლები ხვდებიან წელიწადში ორჯერ, შემოდგომაზე და სასწავლო წლის ბოლოს. ამ შეხვედრებზე მშობლები ეცნობიან ბავშვების პორთფოლიოს, ჩანაწერებს ბავშვის განვითარების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი შეხვედრების მოწყობა.

წერილობითი ანგარიშები მზადდება ასევე წელიწადში ორჯერ. ანგარიშები მშობლებს აწვდის ინფორმაციას ბავშვების მიერ მიღწეულ პროგრესზე თითოეულ მიმართულებაში. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ საშუალება, ყოველდღიურად ნახონ მასწავლებელი და გაარკვიონ, ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე სირთულე სწავლის ან ყოფა-ქცევის თვალსაზრისით.

სოციალური მედია

საბავშვო ბაღის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მშობლებისთვის, როგორიც არის განრიგი, კალენდარი, კვების მენიუ. ასევე თითოეულ ჯგუფს აქვს თავისი დახურული ჯგუფი ფეისბუკ გვერდზე, სადაც რეგულარულად იღებენ ინფორმაციებს ბავშვების მიმდინარე პროექტების და მათთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ. მათ აქვთ საშუალება ფოტო, ვიდეო მასალის ნახვა. შეფასების/კომენტარების დატოვება. ეს ერთის მხრივ მნიშველოვანია მშობლების ინფორმირებისთვის და მეორე მხრივ მათი ჩართულობისთვის ბავშვების ინტერესების მხარდაჭერის მიზნით.
https://europeanschool.ge/istoria/

მშობელთა საორიენტაციო შეხვედრები

საბავშვო ბაღის მენეჯერი და მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის **(PTA)** კოორდინატორი ორგანიზებას უწევენ შეხვედრას, რომლის დროსაც მშობლებს განუმარტავენ სასწავლო გეგმას და პასუხობენ მათთვის საინტერესო შეკითხვებს. მშობელთა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში.